# ლელო

**№ 17**
**(11 269)**

5 - 8 მარტი, 1999 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა



„მანჩესტერ იუნაიტედი" – „ინტერი". იორკმა პალიუკას ორი გოლი გაუტანა

რეპლიკა

## ასეთია ჩვენი პარლამენტი და რას იზამ...

ოთხშაბათს, ქვეყნის პარლამენტში 1999 წლის ბიუჯეტის პროექტის პირველი მოსმენით განხილვისას, ბევრი რამ ითქვა სტრატეგიული მნიშვნელობის სფეროების დაფინანსებაზე. ფინანსთა მინისტრმა სპორტი მყარი დაფინანსების ჩამონათვალში მოიხსენია, მაგრამ საოცარი ის არის, რომ დეპუტატები, მათ შორის ისეთებიც კი, რომლებიც იმ საპარლამენტო კომიტეტის ხელმძღვანელები და წევრები არიან, სადაც სპორტი შედის, სპორტზე სიტყვაც არ დასცდენიათ. თურმე კულტურა და ხელოვნება იმიტომაა დასაფასებელი და დასაფინანსებელი, რომ მსოფლიოში გააქვთ საქართველოს სახელი. ცხადია, ამას არავინ უარყოფს, მათ შორის ჩვენც, მაგრამ რატომ არ ვახსენებთ სპორტს, მის დამსახურებას საერთაშორისო სარბიელზე ჩვენი ქვეყნის წარმოჩენაში. იქნებ ვინმემ გვიკარნახოს, სახელმწიფო დროშას კიდევ ვის საპატივცემოდ აღმართავენ და ჰიმნს ვის დასაფასებლად ააჟღერებენ გარდა ქვეყნის პრეზიდენტის სტუმრობისას და სპორტსმენის მაღალი სპორტული მიღწევების აღსანიშნავად? მერედა, რით არ იმსახურებს ქართული სპორტი მშობლიური პარლამენტის კედლებში თუნდაც მოხსენიებას? ერთმა დეპუტატმა მართალია, მოიხსენია, მაგრამ ალბათ სჯობდა ხმა მასაც არ ამოეღო. იქნებ ამ კაცს, მართლა შესტკივა გული ქართულ სპორტზე, მაგრამ, როცა მაღალი ტრიბუნიდან აცხადებ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფულს გამოყოფს სპორტისთვის, მაგრამ ეს ფული სპორტსმენამდე არ მიდისო, რა ვიგულისხმოთ, ეს რანაირი გულშემატკივრობაა. განა პარლამენტმა და პარლამენტარებმა არ იციან, რომ სპორტსმენები ფულს სწორედ იმიტომ ვერ იღებენ, ბიუჯეტი არ იძლევა? ვითომ ამ სტრიქონების წაკითხვის შემდეგ გაიგებენ პირველად, რომ შარშან სპორტის დეპარტამენტს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მილიონამდე ლარი არ მიუღია, ე.ი. დაგვლეს და ვალად რჩება? ჰოდა, რაც არ მიუღიათ, რას გასცემდნენ. განა არ აჯობებდა პარლამენტის ტრიბუნიდან ამ ფაქტზე თქმულიყო და ისიც დაემატებინათ, თუ ასე გაგრძელდა, ქართული სპორტის კატასტროფა გარდუვალია?

მაგრამ არ თქვეს. ის კი, რაც ითქვა, ვიმეორებთ, კაცმა არ იცის, რაზე იყო გათვლილი...

ასეთია ჩვენი პარლამენტი და რას იზამ!

ც. ბ.


ოლიმპიური რეზერვების სასწავლებელი აცხადებს, რომ 21-23 და 25-27 მარტს ჩატარდება სასწავლებლის ღია პირველობა ბერძნულ-რომაულ და თავისუფალ ჭიდაობაში 1986-1987 წლებში დაბადებულ სპორტსმენთა შორის.

შეჯიბრების მიზანს წარმოადგენს პერსპექტიული ახალგაზრდა სპორტსმენების გამოვლენა და მათი 1999/2000 სასწავლო წელს სასწავლებელში ჩასარიცხ კანდიდატებად აღრიცხვა.

სასწავლებლის დირექცია


## ნინო სალუქვაძემ სიდნეისთვის მეორე ლიცენზია მოიპოვა

როგორც „ლელოს" მკითხველებმა იციან, ჩვენმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა და პრიზიორმა ნინო სალუქვაძემ, სიდნეიში თამაშებისთვის ადრე უკვე მოიპოვა ლიცენზია, ახლა კი ჰოლანდიაში გამართულ ევროპის ჩემპიონატში (ქ. არნჰემი) მეორე პროგრამაში — პნევმატური იარაღიდან 40 მ. სროლაში, თუმცა IV ადგილი დაიკავა, მეორე ლიცენზია დაიმსახურა. ამ ჩემპიონატში პირველი იყო დანიელი სუსანა მეირხოფი — 484,5, მეორე — რუსი მარინა ლაგვინენკო — 480,7, მესამე — იუგოსლაველი იასნა სეკარიჩი — 480,2. ნინო სალუქვაძემაც ამდენი ქულა მოაგროვა, მაგრამ IV ადგილი ხვდა, რაც სრულიად საკმარისი იყო მომავალი ოლიმპიური თამაშების საგზურის მოსაპოვებლად.

გუნდურ პირველობაში საქართველო V ადგილზეა. წინ არიან: 1. დანია, 2. რუსეთი, 3. გერმანია, 4. პოლონეთი...

## მარადონას ხიფათები

იხ. მე-4 გვ.





ეს ყმაწვილები ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ჩვენი ეროვნული ტრადიციების გამგრძელებლები იქნებიან. ამის იმედს გვისახავს ის, რომ ყველა მათგანი ტურნირის გამარჯვებულები არიან, ტურნირისა, რომელიც ამაგდარი მწვრთნელის ვლადიმერ მაისურაძის ხსოვნას მიეძღვნა. ამ ასპარეზობის შესახებ „ლელო" წინა ნომერში იტყობინებოდა. დღეს კი გამარჯვებულებს კიდევ ერთხელ წარმოგიდგენთ.

სხედან (მარცხნიდან): თემურ პაპოშვილი, დავით ბედინაძე, თემურ ქასოშვილი, აკაკი ჯოხაძე; დგანან (მარცხნიდან): პეტრე მეტრეველი, რამაზ დევაძე, დავით შაváძე, ოთარ ფევაძე, ვალერი მურღულია, პაატა ზაქარაძე.

რობერტ ბაბოიანის ფოტო

პრესკონფერენცია

## უცხოელ ფეხბურთელებს ჩვენც შევიძენთ...



### ეს განცხადება გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა სფფ-ს პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ

*სფფ-ს პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია, შეიძლება თამამად ითქვას, ყველაზე მოუცლელი კაცია სპორტული ფედერაციების ხელმძღვანელებს შორის. საქმე მოითხოვს ყოველდღიურ და თანმიმდევრულ მუშაობას შინ თუ გარეთ. ეს კი, დაგვეთანხმებით, უკვე აწყობილ სისტემაშიც გამოიხატება, თუმცა, დასახვეწი და გასაკეთებელი ჯერ ბევრია.*

სფფ-ს პრეზიდენტი ამ დღეებში დაბრუნდა შვეიცარიიდან და გერმანიიდან, სადაც როგორც საერთოდ ევროპისა და მსოფლიო ფეხბურთის (ჩემპიონატის ჩატარების ბლატერისეული ვარიანტის განხილვა) საკითხებზე, ისე ჩვენი სამამულო ფეხბურთის პერსპექტივებზე ყოფილა მსჯელობა. „ლელომ" ზოგიერთ საკითხზე ადრე ოპერატიულად გაუწყათ. ამჯერად კი, თურმე, ერთი ყველაზე სასიხარულო ცნობა გველოდა: მერაბ ჟორდანიამ განაცხადა, რომ გერმანიაში იგი შეხვდა ჩვენს თანამემამულე სერიოზულ ბიზნესმენებს, რომლებიც მზად არიან ჩაატარონ ექსპერიმენტი და სოლიდური თანხები გაიღონ ჯერჯერობით ერთი საფეხბურთო კლუბის, კერძოდ, თბილისის „დინამოს" დასახმარებლად. დახმარების პროგრამა მოიცავს გუნდისთვის პირობების გაუმჯობესებას ჩემპიონთა ლიგაში მონაწილეობის ჩათვლით, აგრეთვე გუნდის ხელმძღვანელობის მოთხოვნის საფუძველზე რამდენიმე უცხოელი ფეხბურთელის შეძენას. მთავარი ამოცანა ჩემპიონთა ლიგაში ჩვენი გუნდის მოხვედრა იქნება. „თუ ეს ექსპერიმენტი გაამართლებს, ასეთი ურთიერთობა გაგრძელდება სხვა გუნდებშიც, ცხადია, იმის მიხედვით, რომელი კლუბი მისცემს სპონსორებს ამის საშუალებას, უპირატესობა მიენიჭება წამყვან გუნდებს" – დას-

იხ. მე-5 გვ.

თემა განსჯისათვის

## ნუ ჩავთვლემთ!

*საქართველო დღეს, მართალია, განვითარების გზაზე შემდგარი და ეკონომიკურად უძლური ქვეყანაა, მაგრამ ცხოვრების რამდენიმე დარგში განვითარებადი არ ეთქმის, პირიქით, მსოფლიო სტანდარტების დონეზე დგას და მათ შორის დღემდე ერთ-ერთი, შეიძლება ერთადერთიც, სპორტია. ეგ კია, ეკონომიკური უსუსურობა არ იძლევა შესაძლებლობების სრულად წარმოჩენის საშუალებას.*

*სპორტში ტრადიციების ჩამოყალიბების ხანგრძლივი პროცესი თავისთავად შეიცავს თაობათა შორის მემკვიდრეობითობას, თუ იგი შენარჩუნებულია, გარანტირებულია აღმავლობა. რა შეიძლება ითქვას ჩვენს შემთხვევაში? საბედნიეროდ, საყოველთაო ნგრევისა და წარსულის ტოტალური უარყოფის ქაოსში, სპორტმა, ჩვენს ქვეყანაში, ძირითადი ფუნქცია მაინც შეინარჩუნა. უმთავრესი როლი აქ შეასრულა თვით ამ სფეროს მუშაკთა თავდადებამ და ერთგულებამ, რითაც მათი ჭეშმარიტი მამულიშვილობა და პატრიოტობა ეჭვშეუვალად დაადასტურა განვლილმა წლებმა.*

*ქართული სპორტის ტრადიციები ზოგადად, კონკრეტულად კი ცალკეულ სპორსტმენთა უმაღლესი მიღწევები საერთაშორისო არენაზე, მათი ავტორიტეტი და სიყვარული, ძნელბედობის წლებშიც დარჩა ეროვნული გენის მსოფლიოში წარმოჩენის სტიმულად. წარმოიდგინეთ რა მოხდებოდა, მოვლენები ჩვენს სპორტულ სამყაროშიც რომ სხვაგვარად წარმართულიყო, ანუ აქაც ყველაფერი ნანგრევებად ქცეულიყო. და რაკი, საბედნიეროდ, ასე არ მოხდა, რაკი ქართული სპორტის ნანგრევებიდან აღორძინება თავიდან აგვაცილა განგებამ, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ საფრთხე აღარ ემუქრება დღემდე მოტანილ-შენარჩუნებულს, რომ კვლავაც შიშველი პატრიოტიზმით გავიტანთ თავს. ყველაფერს აქვს საზღვარი, მოლოდინსაც, იმედსაც, რასაც ბუნებით ოპტიმისტი ჩვენი დარგის მუშაკები, ამდენი ხანია, ასე სამაგალითოდ ერთგულობენ.*

*ზემოთ სპორტის ფუნქციის შენარჩუნება ვახსენეთ, დიახ, ეს ასეა, მაგრამ მხოლოდ მაღალ სპო-*

იხ. მე-2 გვ.

## ოლიმპიური სკანდალი გრძელდება...

იხ. მე-5 გვ.

კალათბურთი • ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი

## „აზოტმაც" წაიფორხილა



იმ უცნაური ამბებისა და არაორდინარული სიტუაციის შემდეგ, რაც ქართული კალათბურთის უმაღლეს ეშელონში, ანუ ეროვნულ ჩემპიონატში შეიქმნა, ცოტას თუ ვინმეს სჯეროდა, რომ მდგომარეობა მალე გამოსწორდებოდა. ქართული კალათბურთის ლიდერის „ვითას" ბუტიობამ წინა პლანზე მისი უახლოესი მდევარი და მეტოქე რუსთავის „აზოტი" წამოსწია და ამ გუნდმაც ლაღად იგრძნო თავი „სუსტების" გარემოცვაში. „ვითა" გვიან ჩაება ჩემპიონატში და ჩათვლილი წაგებებით საკმაო ფორაც მისცა „აზოტს". მაგრამ მას შემდეგ, რაც ჩემპიონატში, ამას წინათ, შესვენების გამოცხადების წინ ტრიუმფით სვლისა და უმატჩო წაგებების მალე ანაზღაურებაში თვითდაჯერებულმა „ვითამ", უეცრად წაიფორხილა და მატჩი უშუალოდ თამაშში, მოედანზეც წააგო თსუ-სთან. გუნდთან, რომელიც თავის მხრივ ერთ-ერთ საპრიზო ადგილზე აცხადებს პრეტენზიას. „ვითას" წაგება შემთხვევითი იყო თუ კანონზომიერი, „აზოტთან" მოახლოებულ შეხვედრაში უნდა გარკვეულიყო. წარმოიდგინეთ, რა განწყობა იქნებოდა მეტოქეთა ბანაკში — „აზოტს" თავისი ნამდვილი შესაძლებლობები უნდა დაემტკიცებინა და „ვითასთვის" მიენიშნებინა, რომ მისი ეპოქა დასრულდა, „ვითას" კი პირიქით, გულშემატკივრებისთვის უნდა ჩაესახა იმედი, რომ იგი ქვეყანაში საუკეთესო გუნდის სახელისთვის კვლავ იბრძვის.

ამგვარი „ჩუმი აჟიოტაჟით" წარსდგნენ გუნდები ერთმანეთის პირი-

იხ. მე-2 გვ.

# ნუ ჩავთვლემთ!

*(პირველი გვერდიდან)*

*რთულ მიღწევებს და მსოფლიოში ჩვენი სახელის გატანას არ ვგულისხმობთ. სპორტს გააჩნია უდიდესი სოციალური ფუნქცია ქვეყნისთვის და ეს სულაც არ არის მედლებზე და რეკორდებზე ნაკლებად მნიშვნელოვანი. მაღალი მიღწევები ათეულთა, თუნდაც ასეულთა ხვედრია, მთავარია, რომ იგი ორიენტირია ათასებისთვის და კარგ პირობებში ასიათასებისთვის, ე.ი. წყდება უდიდესი სახელმწიფოებრივი ამოცანა. ახალგაზრდების ფიზიკურად და სულიერად ჰარმონიული აღზრდა, კეთილშობილური მოტივაციით სვლა დასახული მიზნისკენ, ანუ ქვეყნის ჯანსაღი მომავლისაკენ.*

*ზემოთქმულიდან გამომდინარე, მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ წვალებით შენარჩუნებულისადმი მეტი ყურადღება უნდა გამოიჩინოს სახელმწიფომ. მოზარდების, ახალგაზრდების მოზღვავებული ენერგიის რეალიზაცია თუ სპორტში ვერ მოხერხდება, ის ქუჩაში, სხვა „საგმირო საქმეებში“ ჰპოვებს გასაქანს და ყველამ ჩინებულად იცის, რა დაუჯდება მათი ასეთი „განმუხტვა“ ქვეყანას, მთელ საზოგადოებრიობას.*

*სახელმწიფო თავს ფეხზე მყარად მდგომს ვერასდროს შეიცნობს, თუ ის გზადაგზა ტრადიციებს დათმობს და დაკარგავს. ერთი და ორი წლის მოუსავლიანობა ვერ მოშლის ტრადიციებს სოფლის მეურნეობაში, სპორტში კი თუნდაც ერთწლიანი სრული ჩავარდნა, ქვეყანას აუნაზღაურებელ ზიანს მიაყენებს, მით უარესი, რომ ეს ზარალი ზნეობრივ-მორალური იქნება თაობებისთვის. დღეს ბევრი ქვეყანაა მსოფლიოში, რომლებიც ჯერ ვერ ბრწყინავენ პლანეტის სპორტულ სამყაროში, მაგრამ ეჭვიც არ არის, ჩვენნაირი სპორტული ტრადიციები რომ გააჩნდეთ, სათქმელიც ექნებოდათ და მის შენარჩუნებას სტრატეგიულ მნიშვნელობას მიანიჭებდნენ. როგორც უნდა უჭირდეთ ეკონომიკურად, ამ ფენომენს ჩათვლემის საშუალებას არ მისცემდნენ. ყველგან კარგად იციან, რომ ქვეყანა, სადაც ეროვნული გენი ფხიზლობს, უთუოდ მალე მიაღწევს დასახულ მიზანს ცხოვრების ყველა სფეროში.*

*იქნებ, ჩვენც ამ გზით გვევლო!*

***თენგიზ გაჩეჩილაძე***

## სამბო საქართველოს ჩემპიონატი

# პარიზისკენ – საგარეჯოს გავლით...

29 აპრილს, პარიზში გაიმართება ევროპის წლევანდელი ჩემპიონატი სამბოში. როგორც ბოლო წლებში დამკვიდრდა, ჩემპიონატში სამი თაობის სპორტსმენები – ჭაბუკები, ახალგაზრდები, უფროსები იასპარეზებენ. საქართველოს სამბოს ეროვნულ ფედერაციას გადაწყვეტილი აქვს სამივე ნაკრები მიავლინოს საფრანგეთში და ალბათ, სწორედ ეს იქცა სტიმულად, რომ 400-მდე მოჭიდავე მიაწყდა საგარეჯოს ქვეყნის 25 რაიონიდან და ქალაქიდან. რაც მთავარია, მიმავლინებლებმა თავად გაიღეს ხარჯები, როგორც ეს დებულებით იყო გათვალისწინებული. მწვრთნელებს და ფედერაციის პასუხისმგებელ მუშაკებს ასეთმა მასობრივმა თავყრილობამ შესაძლებლობა მისცა თვალყური მიედევნებინათ თავგამოდებით მოასპარეზეებისთვის და საუკეთესოთა შორის საუკეთესონი ნაკრებისთვის მოენიშნათ.

პარიზში გამგზავრებამდე ჯერ კიდევ რჩება საკმაო დრო, რათა საბოლოოდ დაზუსტდეს სამივე ნაკრების შემადგენლობა. ამასთან, გადასაწყვეტი იქნება დაფინანსების საკითხი. უნდა ვივარაუდოთ, რომ ბოლო წლებში დამკვიდრებული კარგი ტრადიცია გაგრძელდება და ის რეგიონები, რომელთა წარმომადგენლებიც ნაკრებში მოხვდებიან, დააფინანსებენ თავიანთ ფალავნებს.



დღეს გთავაზობთ უფროსი ასაკის სპორტსმენებში გამარჯვებულებსა და პრიზიორებს. „ლელოს“ შემდეგ მომდევნო ორ ნომერში ჭაბუკების და ახალგაზრდების შედეგები გამოქვეყნდება.

**კვარცხლბეკი:** ***დიდები: 52 კგ:*** 1. მევლუდ მელაძე (თბ.), 2. მერაბ ლაგვილავა (ხობი), 3. მიხეილ ჩახვაშვილი (გორი), გიორგი ბახტურიძე (სიღნაღი), ***57 კგ:*** 1. მამუკა მაზმიშვილი (ქარელი), 2. დავით ბარათაშვილი (ხაშური), 3. ბეჟან ნამიშვილი (დუშეთი), თემურ ოდიშვილი (თბ.), ***62 კგ:*** 1. მამუკა მათიაშვილი (საგარეჯო), 2. კობა კეკელიძე (ფოთი), 3. დავით მიხელიძე (ლაგოდეხი), თემურ ხაბურზანია (ზუგდიდი), ***68 კგ:*** 1. დავით ღუღუნიშვილი (რუსთ.), 2. ზურაბ დოღონაძე (ქარელი), 3. მიხეილ ფალაშვილი (კასპი), ლევან ჭიაბერაშვილი (საგარეჯო), ***74 კგ:*** 1. არჩილ ჩოხელი (მცხეთა), 2. თმარ მეტრეველი (ხაშური), 3. ლევან ანთაძე (ფოთი), შალვა ბენიძე (თელავი), ***82 კგ:*** 1. ნიკო ბიბილაშვილი 2. გიორგი ჭაბუკაშვილი (ორივე – გორი), 3. ზურაბ მუზაშვილი (კასპი), გიორგი შარიაშვილი (ყვარელი), ***90 კგ:*** 1. ზურაბ ზვიადაური (ახმეტა), 2. ბეჟან ციხელიძე (ქუთ.), 3. გიორგი ჩადუნელი (თბ.), ირაკლი ქარჩავა (ზუგდ.), ***100 კგ:*** 1. დავით დარძული (სასაზღვრო ჯარი), 2. ნიკოლოზ ბუხრაშვილი (ლაგოდეხი), 3. ვანო მწარიაშვილი (გურჯ.) ენრი კობახიძე (ლაგოდ.). ***მძიმე:*** 1. რატი ფერაძე (ზესტ.), 2. ჯამბულატ ქამხაძე (კასპი), 3. გიორგი ჩხეიძე (თბ.), სოსო ახალბედაშვილი (გორი).

ც. ბაქრაძე

# მცხეთიდან – გერმანიაში, გერმანიიდან – რედაქციაში

მცხეთა ის ქალაქია, რომელიც ათეული წლების განმავლობაში საქართველოში ნიჩბოსნობის განვითარებისა და სპორტსმენთა დაოსტატების ერთ-ერთ უმთავრეს კერად ითვლებოდა. აქაური სანიჩბოსნო ბაზაც ერთ-ერთი უძველესი იყო ჩვენში. და თუ დღეს, ჩვენს ქვეყანაში, კიდევ სადმე შემორჩა სიყვარული სპორტის ამ სახეობისადმი, მათ შორის კვლავ რჩება მცხეთა. აქაური ენთუზიასტი მწვრთნელები ვერ ელევიან ტრადიციებს და სანამ ძალა და ენერგია შესწევთ, არც მოშორდებიან ელინგს. მათი წყალობით თაობათა შორის მემკვიდრეობითობის ჯაჭვი ჯერ კიდევ არ გაწყვეტილა.

მცხეთაში ბევრი უცხოელი ტურისტი ჩადის, მაგრამ იშვიათად თუ ვინმე ეწვევა სანიჩბოსნო ბაზას, კაცმა რომ თქვას, ან კი რა ინტერესს უნდა იწვევდეს ასეთი ობიექტი უცხოელში. მაგრამ გამოჩნდა გერმანელი ტურისტი ჰაინრიხ ბიომენი, რომელიც ჩვენს ისტორიულ ქალაქში ამ მივიწყებულ ადგილსაც სწვევია და ფირზე აღუბეჭდავს ახალგაზრდა ნიჩბოსნები. მერე ეს კაცი ბონში რომ ჩავიდა, იქ ჩვენს კორესპონდენტს ხათუნა აფაქიძეს შეხვედრია. საქართველოში გადაღებული უამრავი ფოტოები სიამაყით უჩვენებია, მათ შორის იყო ეს კადრიც, რომელიც შემდეგ „ლელოს“ კორესპონდენტმა რედაქციას გადმოუგზავნა.



## წყალში ხტომა

## ათენის საერთაშორისო ტურნირი



# „ვირჯინიის თასის“ პრიზიორი

როგორც „ლელოს“ წინა ნომერში გაუწყეთ, ათენში გამართულ „ვირჯინიის თასზე“ ჩვენმა წყალში მხტომელმა, 11 წლის ვიტალი მამნიაშვილმა III საპრიზო ადგილი დაიკავა 1-მეტრიან ტრამპლინიდან ხტომაში.

ათენიდან დაბრუნებისთანავე ჩვენი ეროვნული ნაკრების უფროსი მწვრთნელი ალექსანდრე ბართაია რედაქციაში გვეწვია. იგი სამ ჩვენს წყალში მხტომელს ათენში ახლდა.

– შეჯიბრებაში 15 ქვეყნის რჩეული სპორტსმენები გამოდიოდნენ. 13 წლამდე ასაკის წყალში მხტომელთა შორის გამოდიოდა ვიტალი მამნიაშვილი, რომელიც ფაქტობრივად ორი წლით უფროსებთან იბრძოდა წარმატებისთვის. მაგრამ ამ ჯგუფში იყო ყველაზე უმცროსი მონაწილე და ისიც ჩვენი წარმომადგენელი იყო 9 წლის ჭოლა ჭანტურია – გვითხრა ალექსანდრე ბართაიამ.

ჩვენი წყალმხტომელები ახლა მიწვეულნი არიან უნგრეთის ტურნირზე, მაგრამ გამგზავრება დამოკიდებულია ფინანსებზე, რომელიც ჯერჯერობით არ ჩანს.

## ბილიარდი აჭარის პირველობა

# დავით ფიფია აჭარის ჩემპიონია, თენგიზ ღლონტი – უძლიერესი

ბათუმში სასტუმრო „მესხეთის“ საბილიარდო კლუბ „დელფინში“ აჭარის 1999 წლის პირველობა ჩატარდა (ოლიმპიური პირამიდა). მოასპარეზეთაგან ოთხ ქვეჯგუფში პირველ ადგილებზე გამოსულნი გადიოდნენ ნახევარფინალში. აქ ბათუმის შარშანდელმა ჩემპიონმა მხატვარ-დიზაინერმა თენგიზ ღლონტმა საათნახევრიან პაექრობაში ანგარიშით 2:0 მოუგო აჭარის ბილიარდის ფედერაციის პასუხისმგებელ მდივანს თენგიზ მესხიძეს და ფინალში გავიდა.

მეორე ფინალისტი უნდა გამოევლინა დავით ფიფიასა და სურენ მელქონიანის შეხვედრას. მხოლოდ გადამწყვეტ პარტიაში მოიპოვა უპირატესობა ფიფიამ.



მესამე ადგილისათვის პაექრობაში თენგიზ მესხიძემ სძლია სურენ მელქონიანს.

ფინალში ღლონტს ფიფიამ პირველი პარტია მოუგო. მეორეში კი ანგარიში გაათანაბრდა — 1:1. საბოლოოდ გაიმარჯვა ფიფიამ.

აჭარის ბილიარდის ფედერაციამ შემოიღო მოთამაშეთა რეიტინგი, შარშანდელი შედეგებით პირველ ადგილზე თენგიზ ღლონტია (იხ. სურათი).

ოთარ მურვანიძე,
ბათუმი

# „აზოტმაც“ წაიფორხილა

*(პირველი გვერდიდან)*

სპირ. ამ სეზონში დაუმარცხებელი რუსთაველები მხოლოდ შეხვედრის პირველ ნახევარში, ასე თუ ისე, იდგნენ მოწოდების სიმაღლეზე, თუმცა სოლიდური დაწინაურება ვერა და ვერ შეძლეს. ქულათა მცირე სხვაობამ, რითაც „აზოტი“ თითქმის მუდამ წინ იყო, „ვითას“ ტაიმის მიწურულს ანგარიშში დაწინაურების შესაძლებლობაც კი მისცა.

მეტწილად სამქულიანების წყალობით თბილისელებმა ტაიმი მოიგეს 33:34.

ეტყობა პირველი ტაიმის მიწურულს გუნდში თავჩენილი მღელვარება რუსთაველებს მატჩის მეორე ნახევარშიც გადაჰყვათ და ისინი თავის თავს აღარ ჰგავდნენ, „ვითელებმა“ კი, პირიქით, თავისი თავი და საკუთარი თამაშის სტილი იპოვნეს. ზედმეტი ნერვიულობა კალათბურთში საჯარიმოებში გადაიზრდება ხოლმე და რუსთაველებმაც საკმაოდ აიკიდეს ჯარიმები. მერე საქმეს ვეღარც ტრავმირებული ჯაფარიძის თამაშში ჩართვამ უშველა. პირიქით, ჯაფარიძემ მსაჯების შეურაცხყოფისთვის სასჯელიც მიიღო. იყო ერთი პერიოდი, მეორე ტაიმის მეორე ნახევარში, როცა „აზოტს“ შეეძლო თამაშში გარდატეხის შეტანა, მაგრამ მობილიზება მხოლოდ მცდელობად დარჩა. თბილისელებმა შეხვედრა მოიგეს 82:71. ეს „აზოტის“ პირველი მარცხია ამ სეზონში.

**„ვითა“:** **ვაშაკიძე, ტურაშვილი (3), ჭირაქაძე, აბრამიძე (18), კორძაძე (2), ახალკაცი (8), უსტიაშვილი (12), ორმოცაძე (13), კოკოლიშვილი (16), ჩუბინიძე (10).**

**„აზოტი“:** **გაბისონია (6), ბაბიაშვილი (20), ბერუაშვილი (1), ქლენტი (27), გოგოლაძე, ჩაჩუა, დანელიანი, კოჭლამაზაშვილი, ჯაფარიძე (2), გოგობერიშვილი (15), ბარამიძე, ჯიმშელეიშვილი.**

მ. ფუფუნავა

***თსუ – „კოლხა“ 82:61; თსუ – „შევარდენი“ 88:63; „დინამო“ – სტუ 73:68; ასკ – „მაკაბის“ შეხვედრა 9 მარტისათვის გადაიდო.***

## SOS

იყო დრო, ოზურგეთის რაიონის წითელმთის სასტენდო სასროლეთს და საცხენოსნო ბაზას სამაგალითო სასოფლო სპორტულ ბაზებად მიიჩნევდნენ მთელს საქართველოში. დღეს ეს ბაზა ყველასგან მიტოვებულია. არადა, ჯერ კიდევ შეიძლება მისი გადარჩენა და ქართული სპორტის სამსახურში ჩაყენება.

## საქართველოს X ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში (II წრე)

### XVII ტური

**თსუ (თბილისი) – გურია (ლანჩხუთი) 0-0**

***თსუ:*** გაბელია, ილურიძე, შაშიაშვილი, კობიაშვილი, ზამთარაძე, ბუკია, ნინუა, მაღრაძე, დეკანოსიძე, ჭუმბურიძე, როსტიაშვილი.

***გურია:*** ნიკურაძე, თ. ჩხაიძე, ზ. კვეკვესკირი, შ. მახარაძე, ფირცხალაიშვილი, ჭიაბრიშვილი (ლ. ჩხაიძე, 85), შავშიშვილი, სვანაძე, გულორდავა (ბოლქვაძე, 46), ენუქიძე (ბერძენიშვილი, 89), ძოძუაშვილი.

***გააფრთხილეს:*** შ. მახარაძე.

***მსაჯი:*** ვლადიმერ ელოევი (ცხინვალი).

სტუდენტებს ეს მატჩი რომ მოეგოთ, სამი საფეხურით წინ გადაინაცვლებდნენ და განსაკუთრებული შეუპოვრობაც მართებდათ. ვისღა უნდა მოუგონ მათ, თუ არა გათამაშების ცხრილის ფსკერზე დაშვებულ გუნდს და, ისიც შინ?!

თსუ-ს მონდომება არ დაუკლია, სახიფათო მომენტებიც შექმნეს, მაგრამ გოლეადორის მისიის შემსრულებელი ვერ გამოუჩნდათ. მათი ფორვარდები აშკარად მოიკოჭლებდნენ, ვერც ნახევარმცველებმა ივარგეს, როცა საქმე დამაგვირგვინებელ დარტყმაზე მიდგებოდა. პირველ ტაიმში გოლის გატანის საუკეთესო შანსი ფორვარდად გამწესებულ მაღრაძეს მიეცა, მაგრამ მან ნიკურაძის კარს 4-5 მეტრიდან ააცილა ბურთი. ტაიმის მიწურულს ბუკიამ უკვე თსუ-ს მეორე ფორვარდს შეუქმნა კარგი მომენტი – ლანჩხუთელთა საჯარიმოში. არც თუ ისე მახვილი მარცხენა კუთხიდან როსტიაშვილის მძლავრი ცაციათი დარტყმული ბურთი ნიკურაძემ უკუაგდო. სტუმრები ყრუ დაცვაში არ იდგნენ და რამდენიმეჯერ მწვავედაც შეუტიეს მასპინძლებს. კარგ დასარტყმელ პოზიციაზე გავიდა ორჯერ ძოძუაშვილი – მას საჯარიმოს მისადგომებიდან შეეძლო თსუ-ს მეკარის შეწუხება, მაგრამ მეტად არაზუსტად მოქმედებდა.

მეორე ტაიმში თსუ-ს უპირატესობა გამოიკვეთა და თანდათან აშკარაც გახდა. ლანჩხუთელები მხოლოდ დაცვაზე ფიქრობდნენ, კონტრშეტევები კი არ გამოსდიოდათ. ქების ღირსია თბილისის „დინამოდან“ „გურიაში“ გასესხებული მართლაც პერსპექტიული მეკარე ნიკურაძე, რომელმაც ზამთარაძეს ახლო მანძილიდან და თან ძლიერად დარტყმული კარში მიმავალი ბურთი ისე „გამოაძრო“, რომ ნებისმიერი რანგის გოლკიპერს შეშურდებოდა. ლანჩხუთელთა კარს ერთხელ ნინუაც „გამოექომაგა“, როცა მარცხენა ფლანგიდან ბუკიას ძლიერად და ზუსტად გასროლილ ბურთს ნიკურაძის კარის გასწვრივ, მხოლოდ ფეხის დახვედრა უნდოდა და გოლიც გამოცხვებოდა. ნინუამ ფეხი კი დაუხვედრა ამ ბურთს, ოღონდ ისე, რომ გოლი არ გასულიყო.

...ერთი ქულით გამდიდრებულმა „გურიამ“ კი კმაყოფილმა დატოვა „შევარდენის“ სტადიონი.

დათო თავართქილაძე

**დღეს, 5 მარტს გაიმართება XVII ტურის ექვსი შეხვედრა:**
**კოლხეთი-1913 – ტორპედო**
**სიონი – დილა**
**გორდა – სამგურალი**
**მერანი-91 – დინამო (თბ)**
**ოდიში – ლოკომოტივი**
**დინამო (ბთ.) – იბერია**
**ტურის ბოლო მატჩი 6 მარტს ჩატარდება: ვიტ-ჯორჯია – არსენალი**

### XVI ტური

**არსენალი (თბილისი) – დინამო (თბილისი) 1-7**

***არსენალი:*** ჩლაიძე (აბაშიძე, 46), ლაცაბიძე, ჩიქოვანი, გველესიანი, ყოლბაია, მაისურაძე, ზირაქიშვილი (სულაძე, 51), კაკუბავა (ხოსროშვილი, 56), ამირიძე, კაკაშვილი, ტარიელაშვილი.

***დინამო:*** გვარამაძე, მიქაძე, ვაშაკიძე, მაჭავარიანი, ტუღუში, ალექსიძე, ქებაძე (ჯინჭარაძე, 57), გ. მუჯირი (სახვაძე, 46), ჩომახიძე, აშვეთია, წიტაიშვილი (გუჩუა, 46).

***გოლები:*** წიტაიშვილი (3), მიქაძე (21), აშვეთია (49,85), ალექსიძე (51,88), კაკაშვილი (62), გუჩუა (70).

***გააფრთხილეს:*** ლაცაბიძე, ზირაქიშვილი, კაკუბავა, ამირიძე, ტუღუში, აშვეთია. გააძევეს: ტუღუში (44).

***მსაჯი:*** თამაზ ლაცაბიძე (სურამი).

### გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 16 | 13 | 3 | 0 | 57–9 | 42 |
| 2. ტორპედო | 16 | 12 | 2 | 2 | 43–14 | 38 |
| 3. კოლხეთი–1913 | 16 | 8 | 4 | 4 | 35–26 | 28 |
| 4. ლოკომოტივი | 16 | 6 | 10 | 0 | 19–7 | 28 |
| 5. დილა | 16 | 7 | 4 | 5 | 24–21 | 25 |
| 6. დინამო (ბთ) | 16 | 6 | 7 | 3 | 23–14 | 25 |
| 7. მერანი–91 | 16 | 4 | 8 | 4 | 15–17 | 20 |
| 8. იბერია | 16 | 5 | 4 | 7 | 26–31 | 19 |
| 9. არსენალი | 16 | 4 | 6 | 6 | 20–32 | 18 |
| 10. ოდიში | 16 | 5 | 2 | 9 | 12–25 | 17 |
| 11. სიონი | 16 | 4 | 4 | 8 | 13–33 | 16 |
| 12. გორდა | 16 | 3 | 7 | 6 | 12–21 | 16 |
| 13. ვიტ–ჯორჯია | 16 | 5 | 3 | 8 | 15–17 | 15 |
| 14. სამგურალი | 16 | 4 | 2 | 10 | 14–33 | 14 |
| 15. თსუ | 17 | 3 | 5 | 9 | 14–23 | 14 |
| 16. გურია | 17 | 3 | 3 | 11 | 18–40 | 12 |

შენიშვნა: ვიტ-ჯორჯიას დაკლებული აქვს 3 ქულა.

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები



### ხელმეორედ – ჩილავერტს ესვრიან

როგორც უკვე ვიუწყებოდით, ბუენოს-აირესის პოპულარულ კლუბ „რივერ პლეიტის“ გულშემატკივრებს ძალიან ეჯავრებათ „ველეს სარსფილდის“ პარაგვაელი მეკარე ხოსე ლუის ჩილავერტი. და აი ეს კლუბები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს, ამჯერად „კოპა ლიბერტადორესის“ გათამაშებაში. ახლა გულშემატკივრები ისევ დაესხნენ თავს „ჩილას“ მას პეტარდები ესროლეს, ისევე, როგორც ამასწინანდელ ამხანაგურ მატჩში.

ის-ის იყო „ველეს სარსფილდმა“ გახსნა ანგარიში, რომ ჩილავერტის კარის სიახლოვეს პირველი პეტარდა დაეცა. სანამ მოთამაშეები გოლის გატანას ზეიმობდნენ, მეკარე მუხლებზე იყო დაცემული და ტკივილებისაგან იგრიხებოდა. მინდორზე დაუყოვნებლივ გამოცვივდნენ „ველეს სარსფილდის“ ექიმები და ჩილავერტს სამედიცინო დახმარება გაუწიეს. გავიდა ორი წუთი და იგი კვლავ ჩადგა კარში. ცოტა ხნის შემდეგ მეკარეს კვლავ ესროლეს სამი პეტარდა, მაგრამ ისინი შორს დაეცა და ჩილავერტიც ბოლომდე აუღელვებელი დარჩა.

### „ვენეცია“ – „ბარის“ საქმე დაიხურა

ქ. ვენეციის პროკურატურამ შეწყვიტა „ვენეცია“ – „ბარის“ მატჩის საქმის განხილვა. მას იტალიის ფეხბურთის ფედერაციამაც მიბაძა.

აზრი ამ შეხვედრის არასპორტული ხასიათის შესახებ პირველად ჟურნალისტებს შეექმნათ, როდესაც ნახეს, რომ გამარჯვების გოლის გამტან ბრაზილიელ ტულიოს არავინ მიულოცა. ეს შეხედულება კიდევ უფრო განმტკიცდა გოლის ავტორის განცხადების შემდეგ, რომელმაც თქვა, რომ როცა ანგარიში 1-1 იყო, მას უთხრეს, ძალიან ბევრს ნუ შეეცდებოდა.

კარლო პორჩედუმ, რომელიც ამ საქმეს სწავლობდა, მასალების შესწავლის შემდეგ განაცხადა, რომ ამ მატჩის „წინასწარ მოლაპარაკებულად“ ჩათვლისათვის არავითარი საფუძველი არ არსებობს. ამრიგად არც ერთ კლუბს ქულების ჩამოკლება არ ემუქრება.

### პრეზიდენტი მოიტაცეს

ასეთი „საფეხბურთო გატაცებები“ ყველაზე უფრო ხშირად კოლუმბიაში ხდება. ამჯერად კალის „დეპორტივოს“ რიგი დადგა. 73 წლის უმბერტო არიასი 1993 წლიდან ამ კლუბის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეა. იგი თავისი „მერსედესით“ სტადიონ „პასკუალ გერეროსაკენ“ მიემგზავრებოდა, სადაც მის გუნდს „ლიბერტადორესის თასზე“ უნდა ეთამაშა. სწორედ ამ დროს, როგორც კოლუმბიის პოლიციის მიერ გამოქვეყნებულ ცნობაშია ნათქვამი, მისი ავტომანქანა შეიარაღებულმა ადამიანებმა გააჩერეს და არიასი გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს.

### მანჩესტერი არ იზიდავს

როგორც „ბარსელონას“ ბრაზილიელმა ნახევარმცველმა რივალდომ ჟურნალისტებს განუცხადა, „მანჩესტერ იუნაიტედი“ კატალონელებს მისი დათმობისათვის 30 მილიონ დოლარს სთავაზობდა.

ამ წინადადებას არც „ბარსელონას“ ხელმძღვანელობა დაეთანხმა და არც თვით ფეხბურთელი. „მე ბარსელონაში“ თავს ძალიან კარგად ვგრძნობ და არსად წასვლას არ ვაპირებ“ – განაცხადა რივალდომ. კიდევაც რომ მოენდომებინა სადმე გადასვლა, ბრაზილიელს ამის გაკეთება ძალიან გაუჭირდებოდა, რადგან „ბარსელონასთან“ თავისებური ხელშეკრულება აქვს გაფორმებული. ეს კონტრაქტი სადმე გადასვლას არ ითვალისწინებს, რივალდო რომ ეყიდა, „მანჩესტერ იუნაიტედს“ 30 მილიონი დოლარი კი არა, 100 მილიონი უნდა გადაეხადა.

### ბატისტუტა ბრუნდება

ბატისტუტას ავადმყოფობა, „ფიორენტინას“ გულშემატკივრების გასახარად, უფრო ხანმოკლე აღმოჩნდა, ვიდრე ეს თავდაპირველად ექიმებს ეგონათ.

ბატისტუტა დაშავდა 7 თებერვალს „მილანთან“ საშინაო მატჩში და მას 40-დღიანი დასვენება გამოუწერეს. ეს დიაგნოზი მთლად ზუსტი არ იყო – უკვე 20 დღის შემდეგ „ბატიგოლმა“ ვარჯიში დაიწყო. აი, რა განაცხადა „ფიორენტინის“ ექიმმა მარჩელო მანცუოლიმ: „ჩვენ ვთვლიდით, რომ 14 მარტამდე, გაბრიელი მინდორს ვერ დაუბრუნდებოდა, მაგრამ მისი გამოჯანმრთელება უფრო მალე გახდა შესაძლებელი“.

როგორც ცნობილია, ასეთი შესანიშნავი თავდამსხმელის არყოფნა „სკუადრა ვიოლას“ ძალიან დაეტყო. მან ლიდერობა „ლაციოს“ დაუთმო, თუმცა გუნდის ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ ჯერ კიდევ შეიძლება მდგომარეობის გამოსწორება.

### ბრაზილიელები ინყებენ

„ჩემი ნება რომ ყოფილიყო, ნაკრებთან ერთად „კორინთიანსშიც“ გავაგრძელებდი მუშაობას, მაგრამ პირობა პირობაა“ – განაცხადა ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელმა ვანდერლეი ლუქსემბურგომ, რომელიც ახლა მთლიანად ქვეყნის ძირითადი გუნდის საქმიანობით არის დაკავებული. ახლა ლუქსემბურგო მთელ თავის ენერგიას კონფედერაციის თასზე თავისი მომავალი მეტოქეების შესწავლას ანდომებს და ამასთან ერთად „კოპა ამერიკოსათვისაც“ ემზადება.

მარტში ბრაზილიის ნაკრები ამხანაგურ მატჩებს გამართავს კორეასა და ჩინეთში. აპრილში კი „ბარსელონასთან“ ითამაშებს სტუმრად.



### „ინტერის“ მოთამაშეები დაისაჯნენ

იტალიის ფეხბურთის ფედერაციის საკონტროლო-სადისციპლინო კომიტეტმა დასაჯა მილანის „ინტერის“ მოთამაშეები, რომლებიც „პარმასთან“ სათასო მატჩში თავს დაესხნენ შეხვედრის არბიტრს.

„ინტერის“ კაპიტანი ჯუზეპე ბერგომი 5665 დოლარით დაჯარიმდა. გარდა ამისა იგი 4 მატჩითაა დისკვალიფიცირებული. დაისაჯნენ აგრეთვე ფრანჩესკო კოლონეზე და ხავიერ ზანეტი. პირველი ორ მატჩს გამოტოვებს, მეორე – ერთს.

### ვითომ სენსაციაა?

დიახ, ბევრმა სენსაციად აღიქვა, რომ პროფესიონალ ფეხბურთელ ვაჟთა მატჩს მანდილოსანი სჯიდა. მაგრამ რაა იმაში მოულოდნელი, რომ მწვრთნელთა უმაღლესი სკოლის მდივანს ნატალია ევდოჩენკოს სურდა საჯაროდ დაემტკიცებინა თავისი რენომე, რომ სულაც არ გახლავთ იგი შემთხვევითი „კაცი“ ფეხბურთში. მას ადრეც ანდობდნენ მატჩების მომსახურებას, მაგრამ მოყვარულთა დონის გუნდებისას, ქალაქის პირველობაზე, აგრეთვე მოსკოვის პირველობას მოსწავლეთა შორის. ამჯერად კი, მართალია საწვრთნელ თამაშზე, მაგრამ მინდორზე გამოვიდნენ მეორე დივიზიონის პროფესიონალთა გუნდები – მოსკოვის „სპარტაკი-2“ და საფეხბურთო კლუბი „ხიმკი“.

მატჩისწინა მითითებაზე ორივე მხარის მწვრთნელებმა საგანგებოდ შეაჩერეს ხელქვეითთა ყურადღება მატჩის არბიტრის პერსონაზე და სთხოვეს ფეხბურთელებს სათანადო ტაქტი გამოევლინათ მის მიმართ. თვით ავდოჩენკომაც, როცა გუნდებს მინდვრის ცენტრში უხმო ხმამაღლა განაცხადა: „გთხოვთ, დედის გინების გარეშე!“ მაგრამ მოთამაშეებს მხოლოდ 15 წუთს თუ ეყოთ კდემა. შემდეგ „შეეგუენ“ და ყველაფერი თავისი რიგით წარიმართა, თვით არბიტრზეც გაიწიეს რამდენჯერმე, რასაც სულაც არ შეუცბუნებია მსაჯი. ფეხბურთელთა სიფიცხეს ასე აღშობდა: „თქვენ რა, საბავშვო ბაღში ხართ?“ მთელი სიძნელე ის იყო, რომ არბიტრი ულანსმანებოდ მსაჯობდა, და, საერთო აზრით, კარგად გაართვა თავი თამაშს.

ავდოჩენკომ სპარტაკელთა კარში პენალტიც დანიშნა, და უხეშობისათვის ორი მოთამაშე გააძევა მინდვრიდან.

### XVI ტურის სტატისტიკა

● სულ ტურში გატანილია 19 ბურთი. აქედან თამაშის პირველ ნახევარში 6 ბურთი, მეორეში კი – 13.

მასპინძლებმა გაიტანეს 8 ბურთი, სტუმრებმა – 11.

● ტურში მასპინძლებმა მოიგეს 2 მატჩი, ფრედ დამთავრდა 4 მატჩი, სტუმრებმა გაიმარჯვეს 2 შეხვედრაში.

● ტურში დაფიქსირდა ერთი „ავტო“ გოლი, რომელიც ლანჩხუთის „გურიის“ ფეხბურთელს ზ. კვეკვესკირს ეკუთვნის. საერთოდ, ეს არის მეორე „ავტო“ გოლი, რომელიც დაფიქსირდა ჩემპიონატის დაწყებიდან.

● ტურში დაინიშნა ერთი პენალტი, რომელიც რეალიზებულია. საერთოდ, ჩემპიონატის დაწყებიდან დანიშნულია 46 პენალტი, რეალიზებულია 36.

● ტურში „მშრალად“ შეინახეს თავიანთი კარი შემდეგმა მეკარეებმა: ნ. ტოგონიძემ („დინამო“ ბთ.); ს. ჭურაძემ („ვიტ-ჯორჯია“); გ. ჭანტურიამ („ტორპედო“); რ. სოღოლაშვილმა („დილა“), გ. დოლიძემ („იბერია“), გ. ნაყოფიამ („ოდიში“).

● ტურში დაფიქსირდა 2 „დიდი“ ანგარიშით მოგება. („დინამო“ თბ. და „დილა“). ეს „დინამოელთა“ მე-9 დიდი ანგარიშით მოგებაა. საერთოდ, ჩემპიონატის დაწყებიდან დაფიქსირდა 31 დიდი ანგარიშით მოგება.

● ტურში 2 ფეხბურთელმა (რ. ალექსიძემ და მ. აშვეთიამ) შეასრულა „დუბლი“. საერთოდ ჩემპიონატის დაწყებიდან „დუბლი“ შესრულებულია 43-ჯერ.

● ტურში გაფრთხილება მიიღო 29 ფეხბურთელმა, ხოლო 2 გააძევეს (გოროზია – „კოლხეთი-1913“ და ტუღუში – „დინამო“ თბ.).

ყველაზე უხეში მატჩი იყო: „არსენალი“ – „დინამო“ თბ., რომელშიც 6 ფეხბურთელი გააფრთხილეს და ერთი – გააძევეს.

● **ბომბარდირები:**
მ. აშვეთია („დინამო“ თბ.) – 15 გოლი
ზ. იონანიძე („ტორპედო“) – 13
პ. წივწივაძე („კოლხეთი“) – „ლოკომოტივი“) – 11
დ. მახარაძე („გურია“) – 9
ა. კაიდარაშვილი („დილა“) – 9
ლ. ცქიტიშვილი („დინამო“ თბ.) – 8
ლ. ხომერიკი („დინამო“ თბ.) – 8
ე. გვასალია („კოლხეთი-1913“) – 8
დ. ჯანაშია („ტორპედო“) – 8
რ. ალექსიძე („დინამო“ თბ.) – 8
ზ. ზირაქიშვილი („არსენალი“) – 7
პ. მაჭუტაძე („დინამო“ ბთ.) – 7
გ. მეგრელაძე („ტორპედო“) – 7

ვეფხვია ჯალაღონია,
აფხაზეთი. სოფ. ფშაფი.

**სპორტი და პოლიტიკოსები**

### ტონი ბლერი საფეხბურთო ვარსკვლავებთანაც კი პაექრობს

დიახ, ბრიტანეთის ლიდერი ტონი ბლერი თამამად კენწლავს ბურთს ცნობილი საფეხბურთო ვარსკვლავების გვერდით და იმპროვიზებულ პაექრობაშიც იწვევს მათ. სხვათა შორის, ლეიბორისტული პარტიის რეგიონულ კონფერენციებში ბლერის მონაწილეობის პროგრამა უმაღლესი ლიგის საფეხბურთო კლუბში სტუმრობასაც უთუოდ ითვალისწინებს. ბოლო ხანებში ტონიმ მოუხშირა ფოტო და ტელერეპორტიორების წინ ოსტატობის დემონსტრირებას და ამას დამკვირვებლები გერმანიის კანცლერის გერჰარდ შრედერის გამოწვევად აღიქვამენ. შრედერიც ასევეა გატაცებული საჯაროდ ბურთის ჟონგლიორობით. მიიჩნევენ, რომ ორი ქვეყნის ლიდერი ამდაგვარად, ასე დაუსწრებლად ეპაექრება ერთმანეთს – ორივე ქვეყანა ხომ პრეტენზიას აცხადებს ფეხბურთში მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობაზე.

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## ვინ არის „სნაიპერთა სნაიპერი"?

**ეროვნულ ნაკრებებში ვინ არის ყველაზე უკეთესი სნაიპერი?**

1. შანდორ კოჩიში (უნგრეთი) – 75 გოლი 68 მატჩში.
2. ფერენც პუშკაში (უნგრეთი) – 83, 84
3. გერდ მიულერი (გერმანია) – 68, 62
4. კუნისიგე კამამოტო (იაპონია) – 73, 75
5. პაულ ნილსენი (დანია) – 52, 38
6. პელე (ბრაზილია) – 77, 92
7. ჰუნარ ნორდალი (შვეცია) – 43, 33
8. სვენ რიუდელი (შვეცია) – 49, 43
9. იმრე შლოსერი (უნგრეთი) – 60, 68
10. პაული იორგენსენი (დანია) – 44, 47
11. ოლე მადსენი (დანია) – 42, 51
12. გაბრიელ ბატისტუტა (არგენტინა) – 48, 67
13. ჯიმი გრივსი (ინგლისი) – 44, 57
14. კაზიუესი მიურა (იაპონია) – 54, 86
15. ლაიოშ ტიხი (უნგრეთი) – 49, 71
16. ზიკო (ბრაზილია) – 48, 71
17. ვლოდზიმეჟ ლიუბანსკი (პოლონეთი) – 48, 75
18. რომარიო (ბრაზილია) – 44, 62
19. იოაჰიმ შტრაიხი (ყოფილი გდრ) – 55, 102
20. გარი ლინეკერი (ინგლისი) – 48, 80
21. ლუიჯი რივა (იტალია) – 35, 42
22. დიორდ შაროში (უნგრეთი) – 42, 61
23. ეუსებიო (პორტუგალია) – 41, 64
24. უვე ზეელერი (გერმანია) – 43, 72
25. რუდი ფიოლერი (გერმანია) – 47,90
26. ბობი ჩარლტონი (ინგლისი) – 49, 106
27. მიშელ პლატინი (საფრანგეთი) – 41, 72
28. ტონი პოლსტერი (ავსტრია) – 44, 94
29. კარლ-ჰაინც რუმენიგე (გერმანია) – 45, 95
30. იურგენ კლინსმანი (გერმანია) – 47, 108.

## რომარიო ოლიმპიურ ოქროზე ოცნებობს

რომარიო თავის მთავარ მიზნად თვლის ოლიმპიური ოქროს მედლის მოპოვებას. „როგორც კი მწვრთნელი ნაკრებში მიმიწვევს, მაშინვე გამოვეხმაურები მას. მინდა ბრაზილიას დავეხმარო, აუცილებლად მოვიპოვოთ ოლიმპიური ჩემპიონობა"... ამავე დროს გოლეადორმა კმაყოფილება გამოთქვა, რომ „ფლამენგო" აპირებს ახალი მშვენიერი სტადიონის აშენებას, სადაც 60 ათასი მაყურებელი დაეტევა. უკვე შედგენილია პროექტი, შერჩეულია ადგილი მშენებლობისათვის, ეს იქნება ახალი ძალიან კარგი სპორტული ობიექტი.

როგორც რომარიო ფიქრობს, 1999 წელი მისთვის უკეთესი უნდა იყოს, ვიდრე შარშანდელი: „ვერაფერი, რაც შარშან დავგეგმე, ვერ შევასრულე. მე ვალი მაქვს გულშემატკივრების და ეს ვალი აუცილებლად წელს უნდა დავფარო, რაც შეიძლება მეტი გოლი უნდა გავიტანო".

რომარიო ფიქრობს, რომ წარმატების მისაღწევად „ფლამენგომ" უნდა შეიძინოს ძლიერი თავდამსხმელი, რომელიც მასთან წყვილში ითამაშებს. „მას ბევრი გოლის გატანა უნდა შეეძლოს, თავით კარგად თამაშობდეს და ძლიერი პიროვნება იყოს... მე სხვადასხვა სტილის თავდამსხმელებთან მითამაშია, მაგრამ საუკეთესო ვარიანტად მაინც უნივერსალური ფორვარდი მიმაჩნია".

უნდა ითქვას, რომ „ფლამენგოს" ხელმძღვანელობა ცდილობს რომარიოს კარგი მეწყვილე მოუნახოს. ჯერ ლაპარაკი იყო დიდად შედეგიან ვიოლაზე, მაგრამ მან სან-პაულუს „სანტოსში" დარჩენა არჩია. მიმდინარეობდა მოლაპარაკება ლუიზანთანაც, რომელიც შარშან დიდი წარმატებით თამაშობდა „ვასკო და გამაში", აგრეთვე, ქაირსა და ზინიოსთან.

## „დუაიტ იორკ, დუაიტ იორკ!"


იორკის (მარჯვენის) შეჩერება ძნელია...

ვინ გახდება წელს ინგლისის „პრემიერ-ლიგის" უპირველესი სნაიპერი? ამაზე, როდესაც ასპარეზობის მესამედი ჯერ კიდევ წინაა, ცოტა ადრეა ლაპარაკი. პრეტენდენტი ბევრია. მაიკლ ოუენი და რობი ფაულერი (ორივე „ლივერპულიდან"), ენდი კოული („მანჩესტერ იუნაიტედი") განთქმული ალან შირერი („ნიუკასლ იუნაიტედი"), ნიკოლა ანელკა („არსენალი") და სხვები. ამასთან ერთ-ერთ ძირითად პრეტენდენტად „მანჩესტერ იუნაიტედის" ფორვარდ დუაიტ იორკსაც ასახელებენ.

დუაიტ იორკი ახალგაზრდა ფეხბურთელი არ გახლავთ — 1971 წლის 3 ნოემბერს დაიბადა კუნძულ ტობაგოზე, ვესტ-ინდოეთში. ფეხბურთს ბავშვობიდანვე თამაშობს, 17 წლისა კი უკვე ტრინიდადისა და ტობაგოს ნაკრებში მიიწვიეს. შეიძლება ეს გარემოება არც კი ყოფილიყო საკმარისი ფეხბურთის სამყაროში ყურადღების მისაქცევად. უფრო მეტი მნიშვნელობა იმას ჰქონდა, რომ კუნძულზე ამხანაგური მატჩის ჩასატარებლად ჩავიდა ინგლისური „ასტონ ვილა" ცნობილ მწვრთნელ გრემ ტეილორის ხელმძღვანელობით. ტეილორს ისე მოეწონა 18 წლის ჭაბუკი, რომ ადგილობრივ კლუბ „სენტ-კლერს" უზარმაზარი თანხა — 120 ათასი გირვანქა სტერლინგი გადაუხადა. სხვა ინგლისელი სპეციალისტები „ასტონ ვილას" მწვრთნელის აღტაცებას სულაც არ იზიარებდნენ. როცა იორკმა „მანჩესტერ იუნაიტედის" წინააღმდეგ ითამაშა, საერთოდ, არაფერი გამოუვიდა, ხოლო მანჩესტერელთა მწვრთნელმა ტომი დოხერტიმ თქვა: „თუკი ეს ჭაბუკი როდესმე პირველ დივიზიონში ითამაშებს, მაშინ შეგიძლიათ მაო ძე-დუნი დამიძახოთ".

ინგლისურ ლიგასთან შერჩევა მართლაც იოლი არ გამოდგა. აქ იორკს ერთი გარემოებაც უშლიდა ხელს: „ასტონ ვილაში" მუდმივი ადგილი არ ჰქონდა, ხან სად ათამაშებდნენ და ხან სად, უფრო სწორად — სადაც დასჭირდებოდათ. ბირმინგემის კლუბში კი მწვრთნელები იცვლებოდნენ. გრემ ტეილორი ცნობილმა ჩეხმა სპეციალისტმა იოჟეფ ვენგლიშმა შეცვალა, ვენგლიში — რონ ატკინსონმა. თავისი ადგილი იორკმა მხოლოდ 1992-93 წლების სეზონში მოიპოვა. მას უკვე ბევრი გოლი გაჰქონდა. 1994-95 წლების სეზონში ატკინსონი უკვე ბრაიან ლიტლმა შეცვალა. იგი ძირითად იმედს თავდასხმაში სწორედ იორკზე ამყარებდა, რომელიც, მართლაც, ბოლო სამი სეზონის მანძილზე უცვლელად კლუბის საუკეთესო სნაიპერი ხდებოდა. ამის შემდეგ მოხდა, რომ „ასტონ ვილას" გულშემატკივრებმა ფრენკ სინატრას სიმღერაში „ნიუ-იორკი, ნიუ-იორკში" სიტყვები გადააკეთეს და ასე მღეროდნენ: „დუაიტ იორკ, დუაიტ იორკ".

იორკი პოპულარული გახდა. მიუხედავად იმისა, რომ იგი არც ისე მაღალი (175 სმ) იყო და არც დიდი წონა ჰქონდა (76 კგ), მაინც უგებდა დუელს ბრგე, ფიზიკურად ძლიერ ინგლისელ მცველებს, შეეძლო მეტოქის საჯარიმო მოედანში შეღწევა, საგოლე სიტუაციას ქმნიდა და იყენებდა კიდეც. ერთი სიტყვით, „ასტონ ვილასათვის" შეუცვლელი იყო. სხვა საკითხია, რომ ბირმინგემელთა კლუბი არ იყო მაინცდამაინც ამბიციური. არც ჩემპიონი გამხდარა და არც თასის მფლობელი. ერთადერთი, მას შემდეგ, რაც აქ იორკმა დაიწყო თამაში, იყო ის, რომ „ასტონ ვილამ" ინგლისის ლიგის, ან, როგორც მას აქ უწოდებენ, „კოკა-კოლას თასი" მოიპოვა. ერთი სიტყვით, დიდი წარმატებები არა ჰქონია და იქეთკენ თითქოს არც კი მიისწრაფოდა. ეს მაშინ, როცა იორკს, რომელმაც კლუბში უკვე უზარმაზარი დრო გაატარა, მეტი უნდოდა: ჩემპიონთა ლიგაში მონაწილეობა, მსოფლიო ფეხბურთის ავანსცენაზე გამოჩენა.

ასეთ ვითარებაში იორკთან მოლაპარაკება თვით „მანჩესტერ იუნაიტედმა" დაიწყო. აი ამ კლუბში კი გაცილებით მეტის მიღწევა შეიძლებოდა. რა თქმა უნდა, „ასტონ-ვილა" შეეცადა თავდამსხმელის შენარჩუნებას, რომელიც ამ დროისათვის ცოცხალ ლეგენდად იქცა. მენეჯერმა ჯონ გრეგორიმ ისიც კი თქვა: „დამბაჩა რომ მქონოდა, აუცილებლად მოვკლავდი". გულშემატკივრებმა ხომ სულ ცხვირი ჩამოუშვეს. მაგრამ თუ მოთამაშეს გუნდში დარჩენა არა სურს, რას შეაჩერებ! ასტრონომიულ თანხად — 12,6 მილიონ გირვანქა სტერლინგად იორკი „მანჩესტერ იუნაიტედში" გადავიდა. დაიწყო მისი ახალი კარიერა.

„მანჩესტერ იუნაიტედის" „ასტონ ვილასაგან" განსხვავებით ყოველთვის დიდი პრეტენზიები ჰქონდა:. ჩემპიონობაც უნდოდა, ჩემპიონთა ლიგის მოპოვებაც, ორივე ინგლისური თასიც. ამიტომაც იყო, რომ კლუბის მესვეურები არასოდეს იშურებდნენ ფულს შემადგენლობის გასაძლიერებლად. ხომ ჰყავდა „მანჩესტერ იუნაიტედს" ძლიერი ცენტრალური თავდამსხმელი ენდი კოული. რა ვუყოთ, მერე! ახლა მეორე ასეთივე ტიპის ფორვარდი შეიძინა — დუაიტ იორკი. მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა თავდამსხმელთა მძლავრი დუეტი ჩამოაყალიბა. ახლა კოულსაც გააქვს გოლები და იორკსაც, მაგრამ რომ ისინი მაინცდამაინც არ გათამამდნენ, ზოგჯერ მინდორზე ულე-გუნას სულშერიც გამოდის. ერთხელ, გამოვიდა და სულ რაღაც 12 წუთში 4 გოლი გაიტანა. ამით მწვრთნელმა იმავე იორკს აჩვენა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი" „ასტონ ვილა" არ არის, სადაც მას უკანასკნელ წლებში არასდროს არავინ ცვლიდა.

ინგლისის ჩემპიონატში ხომ წარმატებით თამაშობს და ახლა იორკს ჩემპიონთა ლიგაც დაემატა. რა თქმა უნდა, მეოთხედფინალში ერთ-ერთი ცენტრალური იყო მილანის „ინტერთან" შეხვედრა. ამასთან, იორკი იმედოვნებდა, რომ „ინტერში" რონალდო ითამაშებდა და ამრიგად, მსოფლიოში უძლიერესად მიჩნეულ თავდამსხმელს შეეჯიბრებოდა. რონალდომ ამ მატჩში მონაწილეობა არ მიიღო, იგი ჯერ კიდევ საბრძოლველად მზად არ არის. რაც შეეხება იორკს, მისი ახლანდელი მზადყოფნა ნამდვილად საუკეთესოა: მან ორი გოლი გაიტანა და მილანში საპასუხო შეხვედრის წინ გუნდს კარგი პერსპექტივები შეუქმნა.

## მარადონას ფათერაკების ნუსხა

**ასე გამოიყურება არგენტინელი ფეხბურთის ვარსკვლავის დიეგო მარადონას დანაშაულები და სასჯელები**


არც 1997 წელი იყო გამონაკლისი, ნარკოტიკების მოყვარულისათვის, იგი ნაცნობ გზას გაუყენეს

***1984 წ.***

***8 იანვარი.*** „ბარსელონაში" თამაშისას ერთ-ერთ მატჩში უხამსი ჟესტით მიმართა მაყურებელს. გაზეთების შეტევის შედეგად, დაიწყო დიდი სკანდალი.. მარადონამ განაცხადა, რომ სამუდამოდ მიდის ფეხბურთიდან.

***16 მაისი.*** „ბარსელონასა" და „ატლეტიკის" ესპანეთის თასის ფინალურ მატჩში მისი გუნდი დამარცხდა. მარადონას თაოსნობით იქვე მინდორზე მეტოქეთა ჩხუბი ატყდა. შედეგად — სამთვიანი დისკვალიფიკაცია ჩხუბისთავს.

***1986 წ.***

***7 მაისი.*** მარადონა გაურკვეველი მიმართულებით გაუჩინარდა „ნაპოლის" საწვრთნელი ბანაკიდან. ორი უკანასკნელი ტური გუნდმა ულიდეროდ ითამშა. დაბრუნებისთანავე არგენტინელმა მიკიბ-მოკიბა, რომ საშიშროება ელოდა მაფიის მხრიდან. წლის განმავლობაში რამდენჯერმე კვლავ გაიქცა ვარჯიშიდან, შედეგად 5.000 დოლარით დააჯარიმეს.

***22 ივნისი.*** მსოფლიო პირველობის მეოთხედფინალურ მატჩში ხელით შეაგდო ბურთი ინგლისელთა კარში. „ეს ღმერთის ხელი იყო", — უდრტვინველად განაცხადა მან.

***21 სექტემბერი.*** ნეაპოლელ ვინმე კრისტინას გაუჩნდა ვაჟი. იგი ამტკიცებდა, რომ მამა დიეგო მარადონაა. თავად არგენტინელმა ეს უარჰყო და სასამართლო პროცესში ჩაება.

***1989 წ.***

***ივლისი.*** ტელეგადაცემაში მარადონამ თავის ყოფილ ექიმს თაღლითი უწოდა. ექიმმა გაასაჩივრა.

***5 ნოემბერი.*** ქორწინების წინადღეს მარადონამ სახლში ორგიები მოაწყო რამდენიმე მეძავის მონაწილეობით. ყველა კოკაინით იყო გაბანგული.

***1990 წ.***

***22 მარტი.*** სასამართლო პროცესმა, რომელიც 1986 წლიდან გრძელდებოდა, დაამტკიცა მარადონას მამობა და კრისტინას დაუნიშნა ალიმენტი. მერე მარადონამ სცნო შვილი.

***11 ივნისი.*** ინტერვიუში მარადონამ ნაკრების თანაგუნდელ სან ფილიპოს სამშობლოს მოღალატე და მექრთამე უწოდა. დაიწყო სასამართლო პროცესი, მაგრამ შემდეგ დააშოშმინეს მხარეები.

***6 ივლისი.*** მარადონას ძმა დააპატიმრეს რომში ავტომანქანის უკანონოდ მართვისათვის. მარადონამ პოლიციას აყალ-მაყალი აუტეხა. მარადონა ჯარიმით გადარჩა.

***16 აგვისტო.*** არადონა ფლორენციაში დააკავეს სიჩქარის გადაჭარბებისა და მანქანის უნებართვოდ ტარებისათვის. ამჯერად ჯარიმას „ფერარის" კონფისკაცია მოჰყვა.

***20 დეკემბერი.*** მარადონამ უარი თქვა „ფიორენტინასთან" თამაშზე. „ნაპოლის" ხელმძღვანელობამ სასამართლოში უჩივლა, რის შედეგადაც მარადონამ მორიგი ჯარიმა გადაიხადა.

***1991 წ.***

***7 იანვარი.*** მარადონამ შინ ოთხი მეძავი გამოიძახა. მეორე დღეს მათ სასამართლოში უჩივლეს, რომ ისინი ძალით აიძულა ნარკოტიკები მიეღოთ.

***2 მარტი.*** მარადონა ვარჯიშის გაცდენისათვის მორიგ ჯარიმას იხდის.

***17 მარტი.*** „ნაპოლი" — „ბარის" შეხვედრის შემდეგ მისი დოპინგტესტი დადებით შედეგს იძლევა — სისხლში აღმოაჩნდა კოკაინის კვალი. შედეგად — 15-თვიანი დისკვალიფიკაცია.

***25 მარტი.*** ნეაპოლში დამთავრდა სასამართლო პროცესი. მარადონას ბრალდებოდა არგენტინიდან იტალიაში კოკაინის დიდი პარტიის გადატანა. მოსამართლემ მტკიცება საკმარისად არ ჩათვალა და გაამართლა იგი.

***26 აპრილი.*** ბუენოს-აირესში დააპატიმრეს ნარკოტიკებით ვაჭრობაში ეჭვმიტანილი მარადონა. იგი ხელწერილით გაათავისუფლეს ქვეყნიდან გასვლის უფლების ჩამორთმევით. მარადონა ნარკოტიკებისაგან განკურნებას იწყებს.

***6 მაისი.*** მარადონა კიდევ ერთ დისკვალიფიკაციას იღებს — 14 თვით.

***13 მაისი.*** პოლიციამ მისი ბინის ჩხრეკისას კოკაინი აღმოაჩინა.

***26 ივნისი.*** მარადონამ ფსიქიატრს მიმართა.

***20 სექტემბერი.*** ერთ-ერთმა მისმა ყოფილმა მცველმა განაცხადა, რომ პატრონმა სამი ჟურნალისტის მოკვლა სთხოვა.

***1993 წ.***

***13 მაისი.*** სევილიაში მანქანის სიჩქარის გადაჭარბებისათვის — ისევ ჯარიმა, ისევ მანქანის ჩამორთმევა.

***1994 წ.***

***15 იანვარი.*** სასამართლო სხდომის წინ მარადონა მისდგა ჟურნალისტებს და გვარიანად გამოლანძღა.

***30 იანვარი.*** მარადონა საჯაროდ ამტყუნებს ჟოაო ავილანჟს იმაში, რომ მას მსოფლიოს ჩემპიონატში სპეციალურად ჩაუდეს ეფედრინი, ბრაზილიის ნაკრები ჩემპიონი რომ გამხდარიყო.

***1 თებერვალი.*** მარადონა 10 დღით გაქრა არგენტინის „ნიუელზ ოლდ ბოიზიდან" და იგი გაათავისუფლეს.

***2 თებერვალი.*** თავისი სახლიდან ორ ნაცნობთან ერთად ცეცხლი გაუხსნა პნევმატური იარაღით ჟურნალისტებს, ხუთი კაცი დაჭრა.

***29 ივნისი.*** მსოფლიოს ჩემპიონატის არგენტინა-ნიგერიის მატჩის შემდეგ დოპინგკონტროლმა სისხლში ეფედრინი აღმოუჩინა. შედეგად — 15 თვით დისკვალიფიკაცია.

***31 დეკემბერი.*** ქვეყნიდან გაუსვლელობაზე ხელწერილის მიცემის შემდეგ ფიდელ კასტროს მიწვევით ოჯახით ჩავიდა კუბაში. მოსამართლემ გამოიტანა დადგენილება მისი დაპატიმრების შესახებ.

***1999 წ.***

***7 თებერვალი.*** კერძო ვიზიტით იტალიაში ჩასულს წარუყენეს ბრალდება „ნაპოლიში" თამაშის დროს გადასახადის დამალვისათვის. ჯარიმის თანხამ 60 მილიონი დოლარი შეადგინა.

***10 თებერვალი.*** მარადონა „რესინგის" მოთამაშე ლატორეს „ბუკა ხუნიორსის" მიმართ შეურაცხმყოფელი ჟესტებისათვის საჯაროდ დაემუქრა საცემად.

## ჩემპიონთა ლიგა




«რეალი» — «დინამო». მიატოვიჩი (მარცხნივ), რედონდო და ლუჟნი (წინა პლანზე)

## 1/4 ფინალის პირველი მატჩები

**რეალი (ესპანეთი) — დინამო (უკრაინა) 1-1**

***რეალი:*** ილგნერი, პანუჩი, იერო, სანჩისი (კამპო, 57), რობერტო კარლოსი, რედონდო, გუტი, ზეედორფი (სავიო, 57), რაული, მიატოვიჩი, მორიენტესი (შუკერი, 76).

***დინამო:*** შოვკოვსკი, ლუჟნი (კირიუხინი, 89), ვაშჩუკი, გოლოვკო, კალაძე, ხაცკევიჩი, გუსინი, ბელკევიჩი (კარდაში, 80), კოსოვსკი (კორმილცევი, 83), შევჩენკო, რებროვი.

***გოლები:*** შევჩენკო (54), მიატოვიჩი (66).

**მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი) – ინტერი (იტალია) 2-0**

***მანჩესტერი:*** შმეიხელი, გ. ნევილი, იონსენი (ბერგი, 46), სტამი, ირვინი, ბექჰემი, კინი, სქოულზი (ბათი, 69), გიგზი, იორკი, კოული.

***ინტერი:*** პალიუკა, გალანტე, ბერგომი, კოლინეზე, ძანეტი, კოე, სიმეონე, ვინტერი, ჯორკაეფი, სამორანო (ვენტოლა, 68), ბაჯო (პირლო, 79).

***გოლები:*** იორკი (6, 45).

**ბაიერნი (გერმანია) — კაიზერსლაუტერნი (გერმანია) 2-0**

***ბაიერნი:*** კანი, მათეუსი (ტარნატი, 46), ბაბელი, ლინკე, შტრუნცი (ციკლერი, 76), იერემისი, ეფენბერგი, ლიზარაზუ, ბასლერი (სალიჰამიჯიჩი, 84), ელბერი, იანკერი.

***კაიზერსლაუტერნი:*** რაინკე, რამზი, პრუტკა (კოხი, 69), ბუკი (რატინიო, 56), სფორცა, რიდლი, ბალაკი, ვაგნერი, რაიხი, რიშე (სამირი, 73), როსლერი.

***გოლები:*** ელბერი (31), ეფენბერგი (35).

**იუვენტუსი (იტალია) — ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) 2-1**

***იუვენტუსი:*** პერუცი, მირკოვიჩი, იულიანო, მონტერო, დი ლივიო (ტაკანარდი, 90), კონტე, დეშამპი, დავიდსი, ზიდანი, ინძაგი, ფონსეკა (ბორინდელი, 81).

***ოლიმპიაკოსი:*** ელეფტეროპულოსი, ამანატიდისი, ანატოლაკისი, კარატაიდისი, გეორგატოსი (ნინიადისი, 90), მავროგენიდისი, პურანიდისი, კარაპიალისი (ალექსანდრისი, 73), ჯანაკოპულოსი (ივიჩი, 73), ჯორჯევიჩი, გოგიჩი.

***გოლები:*** ინძაგი (37), კონტე (78), ნინიადისი (90, პ.).



«იუვენტუსი» — «ოლიმპიაკოსი». ბურთთანაა დეშამპი

## უეფას თასი




**ბოლონია (იტალია) — ლიონი (საფრანგეთი) 3-0**

1-0 სინიორი (5), 2-0 სინიორი (49), 3-0 სინოტო (54)

**ბორდო (საფრანგეთი) — პარმა (იტალია) 2-1**

1-0 მიკოდი (40), 2-0 ვილტორდი (45), 2-1 კრესპო (82)

**ოლიმპიკი (საფრანგეთი) — სელტა (ესპანეთი) 2-1**

1-0 მორისი (33), 1-1 მოსტოვოი (64), 2-1 მორისი (68)

**ატლეტიკო (ესპანეთი) — რომა (იტალია) 2-1**

1-0 ხოსე მარი (13), 2-0 ფრენსედოსო (46), 2-1 დი ბიაჯო (74)

# უცხოელ ფეხბურთელებს ჩვენც შევიძენთ...

*(პირველი გვერდიდან)*

ძინა მ. ჟორდანიამ. მისივე თქმით, ამ საკითხების საბოლოოდ დასაზუსტებლად, კიდევ ერთი შეხვედრაა დაგეგმილი, ამჯერად უკვე „დინამოს“ გუნდის უფროსის რომან შოთაძისა და უფროსი მწვრთნელის მურთაზ ხურცილავას მონაწილეობით. სფფ-დან კი თავად ჟორდანია და გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია მიიღებენ მონაწილეობას, შეხვედრა გერმანიაში, საქართველოს საელჩოში გაიმართება ამ კარგი საქმის ერთ-ერთი თაოსნისა და მხარდამჭერის, გერმანიაში ჩვენი ელჩის კოტე გაბაშვილის თანდასწრებით. მერაბ ჟორდანია დარწმუნებულია, რომ ამ ეტაპზე უკვე გადადგმული პრაქტიკული ნაბიჯი მომავალი წარმატების საწინდარი გახდება.

რაღა თქმა უნდა, ჟურნალისტები დაინტერესდნენ იმ ბიზნესმენის ვინაობით, ვისაც ქართული ფეხბურთის საკეთილდღეოდ სურს ასეთი კეთილშობილური მისია იკისროს.

მერაბ ჟორდანია: „დასამალი არაფერია, ეს გახლავთ ბევრისთვის კარგად ცნობილი მიხეილ სურგულაძე, რომელიც 90-იანი წლების დასაწყისში ქართული ბიზნესის დამკვიდრების სათავეებთან იდგა და სერიოზული წარმატებებიც ჰქონდა. არც ქართული სპორტისთვის და არც ფეხბურთისთვის იგი უცხო კაცი არ არის, „დინამოსთან“ კი ადრეც ჰქონია ურთიერთობა. აი, ეს პიროვნება და მისი ფინანსური ჯგუფი გვპირდება შემწეობას. ახლა მიხეილ სურგულაძე ძალიან სოლიდურ ფირმას „ფინა სპორტპრომოუშენს“ უდგას სათავეში“.

მერაბ ჟორდანია ჟურნალისტების თხოვნით ბელგიურ კლუბ „მეჰელენში“ ჩვენების არასასიამოვნო თავგადასავალსაც შეეხო. „ბელგიაში საქართველოს საელჩოს მეშვეობით, ჩვენ დავაფიქსირეთ ჩვენი პოზიცია, შემდეგ მივმართეთ და განმარტება ვთხოვეთ ბელგიის ფეხბურთის ფედერაციას. თავიდან, რაც ჩვენზე იყო დამოკიდებული ყველაფერი კანონიერად გაკეთდა, დანარჩენი კლუბებს შორის, აგრეთვე „მეჰელენსა“ და ფეხბურთელებს შორის დადებული კონტრაქტის პირობების შესრულება-არშესრულებას ეხება. თუ მოვლენების განვითარება არასასურველი გზით წავა, ვიტოვებთ უფლებას მივმართოთ ფიფას. ჩვენ ვალდებულები ვართ დავიცვათ ჩვენი ფეხბურთელების ინტერესები“. ამ საკითხზე მუშაობენ ცნობილი ადვოკატები, ხომ არ შეიძლება, ახლა, როცა ტრანსფერების ვადები ამოწურულია, ფეხბურთელები უგუნდოდ დარჩნენ“ – თქვა სფფ-ს პრეზიდენტმა.

პრესკონფერენციაზე გაირკვა ისიც, რომ თურმე თავიდან „დინამოს“ ხელმძღვანელობა „მეჰელენში“ ჩვენების ასეთი ჯგუფური გადასვლის წინააღმდეგი ყოფილა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ფეხბურთელებმა თავისი გაიტანეს, კლუბს სხვა რაღა დარჩენოდა, ბიჭების თხოვნა გაუთვალისწინებია.

და ისევ ამ თემაზე: „ამბობენ, რომ „მეჰელენის“ აქციები მოსკოვში მცხოვრები ქართველების ხელში ყოფილა და წყალიც მათ აამღვრიეს“. დაისვა შეკითხვა.

**მერაბ ჟორდანია:** „მე არ ვიცი ვინ ფლობს აქციებს, ჩვენ იმაზე ვითხოვთ განმარტებებს, რაც ფეხბურთელების ბედს ეხება და ყველაფერს ვილონებთ, რომ სამართლიანობა აღდგეს. ამბობენ, რომ „მეჰელენის“ აქციები იქვე, ბელგიაში, ქართველი ებრაელების ხელში ყოფილა.“

მერაბ ჟორდანია შეეხო აგრეთვე თემურ ქეცბაიას საკითხს. სფფ-ს პრეზიდენტს უსაუბრია ქეცბაიასთან და ნაკრების სხვა წევრებთან. განუმარტავს მათთვის, რომ არ შეიძლება კონფლიქტები წარმოიქმნას მწვრთნელსა და ფეხბურთელს შორის, ფეხბურთელსა და მწვრთნელს შორის. როცა სპორტსმენს იძახებენ ნაკრებში, მათ იძახებს არა პიროვნება, არამედ ქვეყანა და ყველა ვალდებულია ემსახუროს სამშობლოს ინტერესებს, ყველაფერმა დანარჩენმა კი უკანა პლანზე უნდა გადაიწიოს. „ნაკრების წევრებმა, ვფიქრობ, ეს კარგად გაიგეს“ – დასძინა მ. ჟორდანიამ.

ითქვა სხვა საკითხებზეც, კერძოდ:

– განიხილავენ ეროვნული ჩემპიონატის I ჯგუფის მატჩების შემდეგ პრესკონფერენციის ჩატარების აუცილებლობის საკითხს;

– ახალი ჩემპიონატისთვის სფფ შექმნის საგანგებო კომისიას, რომელიც კომპლექსურად შეისწავლის ადგილებზე მატჩების ჩატარების პირობებს;

– მწვრთნელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიასთან ნავარაუდევია შეიქმნას საგანგებო კურსები;

– არ არის გამორიცხული, რომ სტადიონის პლასტმასის სავარძლები დამზადდეს საქართველოში, რაც შეამცირებს ხარჯებს;

– სფფ მხოლოდ თავისი წესდების შესაბამისად ითხოვს ტრანსფერის თანხას (მომსახურებისთვის) და არა ფიქსირებულ გადასახადს, როგორც ხმებია გავრცელებული...

საააგენტო „გუმათი“ — „ლელო“

## ამხანაგური მატჩები

**ბულგარეთი — სლოვაკეთი 2-0**
1-0 ილიევი (22) 2-0 ივანოვი (41).

**პოლონეთი — სომხეთი 1-0**
1-0 ტრეეჩიაკი (3)

**რუმინეთი — ესტონეთი 2-0**
1-0, 2-0 განეა (15, 78).

## ფოგთსის ახალი ამპლუა

გერმანიის ნაკრების ყოფილი თავკაცი შარშან სექტემბრიდან, როცა მას პოსტი დაატოვებინეს, უმუშევარი გახლდათ. მას რამდენიმე კლუბი სთავაზობდა სამუშაოს, იწვევდნენ სხვადასხვა ქვეყანაში ეროვნული გუნდის თავკაცად და ბერტი ფოგთსმაც, როგორც იქნა არჩევანი გააკეთა – ის თავის მშობლიურ კლუბ მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ დაუბრუნდა, სადაც დირექტორად იმუშავებს. „ბორუსიას“ ახლა ფოგთსის თანაგუნდელი (როგორც კლუბში ისევე ნაკრებში) რაინერ ბონჰოფი წვრთნის და ბერტი ირწმუნება, რომ რაინერს მწვრთნელობაში არაფრის დიდებით არ შეეცილება.

## სარფიანი, მაგრამ...

„შტუტგარტის“ 27 წლის ფორვარდი ფრედი ბობიჩი მომავალი სეზონიდან დორტმუნდის „ბორუსიის“ ღირსებას დაიცავს. გაზეთი „ბილდი“ იუწყება, რომ ეს გარიგება დორტმუნდელებს 11,5 მილიონი მარკა დაუჯდათ. „შტუტგარტისთვის“ ეს სარფიანი გარიგებაა, მაგრამ გუნდი ნელნელა იცლება წამყვანი ფეხბურთელებისგან, რაც მის თამაშზე ნეგატიურად მოქმედებს. „შტუტგარტისთვის“ განსაკუთრებით, ბრაზილიელი ჯოვანი ელბერს „ბაიერნში“ გადასვლა გამოდგა დიდი დანაკლისი. რას მოუტანს მას ბობიჩის წასვლა?

### სკანდალის კვალდაკვალ

## განაჩენი მალე გამოქვეყნდება

სკანდალი, რომელიც სოკ-ის 13 წევრის მოქრთამვას უკავშირდება, როგორც იტყვიან, ადგილიდან არ იძვრის. თუმც ბევრს ეგონა, რომ ლოზანაში სოკ-ის საგამომძიებლო ჯგუფის შეკრებაზე რაღაც-რაღაცეებს ბურუსი ჩამოეცლებოდა და საზოგადოებაც ახალ ამბებს შეიტყობდა, მაგრამ, ასე არ მოხდა. კრებამ დახურულ კარს მიღმა ჩაიარა და ჟურნალისტები მასზე არ დაუშვეს.



საგამომძიებლო ჯგუფს სოკ-ის ვიცე-პრეზიდენტი, კანადელი რიჩარდ პოუნდი თავკაცობს. მისი თქმით, Salt lake City-ის ამბებთან სოკ-ის 5 წევრია დაკავშირებული, რომლებმაც 1,2 მილიონი დოლარი მოიხვეჭეს. პოუნდმა ისიც აღნიშნა, რომ ეს შესაძლოა ბოლომდე სიმართლე არ გამოდგეს, რადგან საქმის გამოძიება გრძელდება.

ამასობაში სოკ-ის პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა ესპანურ პრესაში განაცხადა, რომ ბევრი ბრალდება, რომლებიც უკავშირდება ОФДЕ ДФЛУ სშენ-ის უსაფუძვლოა.

საგამომძიებლო ჯგუფს სკანდალში გახვეულმა სამმა წევრმა მისცა ჩვენება – ფილ კოლზმა (ავსტრალია), აშვინი კუმასმა (ინდოეთი) და აგუსტინ აროლეომ (ეკვადორი). რიჩარდ პოუნდმა ჟურნალისტებს არ აცნობა მათი შინაარსი. შეგახსენებთ, რომ სკანდალში გახვეულმა დანარჩენმა 9 წევრმა იანვარში სოკ-იდან წასვლა გადაწყვიტა. ლოზანის კრებაზე კი ეს სამი პერსონა „მუშავდებოდა“, აგრეთვე კიდევ ათი პიროვნება, რომლებიც მოგვიანებით ამოტივტივდნენ. სამარანჩი ირწმუნება, რომ ამ ათიდან, მხოლოდ ერთს ან ორს შეეძლო ჩაედინა ცუდი საქმე. რიჩარდ პოუნდის თქმით კი ყველაფერი სოკ-ის გენერალურ ასამბლეაზე გაირკვევა 17-18 მარტს.

# „თეთრი ევროპელი ყვავი“ ბრაზილიაში

ის, რომ ბრაზილიელი ფეხბურთელები წარმატებით თამაშობენ ევროპაში, ეს, ცხადია, იოლად გასაგებია. მაგრამ როცა ევროპელი ფეხბურთელი წარმატებით თამაშობს ბრაზილიაში...

საინტერესოა, რომ ახლა ბრაზილიაში მხოლოდ 16 ლეგიონერია, მაგრამ აქედან 14 ლათინური ამერიკიდანაა (ძირითადად პარაგვაიდან, აგრეთვე ურუგვაიდან, კოლუმბიიდან და არგენტინიდან), 1 – იაპონელია. ისე რომ, ერთადერთი ევროპელია — 26 წლის იუგოსლავიელი დეიან პეტკოვიჩი. იგი სალვადორის „ვიტორიაში“ გამოდის. არ შეიძლება ითქვას, რომ არ იყო სხვა ევროპელი ფეხბურთელების მიწვევის ცდაც. ერთხანს იგორ დობროვოლსკის მიპატიჟებასაც კი აპირებდნენ, მაგრამ რუსმა ფეხბურთელმა რეალურად შეაფასა თავისი შესაძლებლობები, ბრაზილიის ნაცვლად იტალიის „ჯენოვაში“ გადავიდა და, იქაც, როგორც ცნობილია, ვერაფერს გახდა.

რაც შეეხება დეიან პეტკოვიჩს, იგი ისეთი მაღალი კლასის მოთამაშეა, რომ რეალურ კონკურენციას უწევს უპირველეს ბრაზილიელ ოსტატებს. აი რას წერდა ამას წინათ პოპულარული სპორტული ჟურნალი „პლაკარი“: „ბრაზილიის მთელი ჩრდილო-აღმოსავლეთის მთავარ ვარსკვლავად ამიერიდან უნდა ჩაითვალოს ეს ფიზიკურად ძლიერი ქერათმიანი ახალგაზრდა კაცი. მას არც პლიაჟზე გამოჩენა უყვარს, არც ბევრი ლაპარაკი და თავისი კოლეგებისაგან განსხვავებით, სულაც არ არის გატაცებული მანქანის „ჭენებით“ და მძღოლიც კი დაიქირავა“.

ბრაზილიის რეგულარულ პირველობის 21 მატჩში პეტკოვიჩმა 14 გოლი გაიტანა, იმდენივე, რამდენიც რომარიომ. პეტკოვიჩი სისტემატურად შეჰყავთ სხვადასხვა სიმბოლურ ნაკრებში. „პლაკასის“ ვერსიით, მან მატჩში საშუალოდ 6,83 ბალი მიიღო, რაც აბსოლუტური რეკორდი აღმოჩნდა ბრაზილიისათვის. საინტერესოა, რომ პეტკოვიჩმა საკუთარი კლუბის, „ვიტორიას“ (ქ. სალვადორი) რეკორდიც კი გააუმჯობესა, აქ 13 გოლი გაიტანა ანდრემ. კარგა ხანია ბრაზილიის პირველობაზე „ვიქტორიას“ არცერთ ფორვარდს უკეთესი შედეგი არა ჰქონია, ახლა კი პეტკოვიჩმა იგი ერთი გოლით გააუმჯობესა.

ვინ იყო პეტკოვიჩი ბრაზილიაში ჩასვლამდე? ვინ და მხოლოდამხოლოდ სათადარიგო მოთამაშე მადრიდის „რეალში“, სადაც მას ფაბიო კაპელო გასაქანს არ აძლევდა. ამავე დროს, იუგოსლავიელი მეტად მოსწონდა „რეალის“ განთქმულ ბრაზილიელ მცველ რობერტო კარლოსს, რომელიც ამბობდა: „ამ ახალგაზრდას ყველა მონაცემი აქვს, რომ ბრაზილიაში „იფეთქოს“.

დიახ, რობერტო კარლოსის სიტყვები გამართლდა. პეტკოვიჩი ჩავიდა ბრაზილიაში და... დიდად პოპულარული გახდა. იგი „ვიტორიას“ ფეხბურთელებს შორის ყველაზე დიდ ხელფასს იღებს — 120 ათას რეალს (100 ათას ამერიკულ დოლარს) თვეში. მეორე-მესამე ადგილებს ამ მხრივ იყოფენ ელიველტონი და ფლავიო, რომელთა თვიური ხელფასი „მხოლოდ“ 35 ათასი რეალია.

ელოდნენ, რომ ევროპელს ძალიან გაუჭირდებოდა ცხელ ბრაზილიაში. „ვერ წარმომიდგენია, როგორ თამაშობენ ბრაზილიელები დღისით ასეთ პაპანაქებაში. რა თქმა უნდა, სალამოობით სჯობს თამაში“. ასეა თუ ისე, პეტკოვიჩი ბრაზილიურ პირობებს შეეგუა და თანაც როგორ...

# „ბავშვობიდან ყველას უგებს, ვისაც კი ხვდება“



ეს სიტყვები მელანი მოლიტორს ეკუთვნის. იგი ერთდროულად მარტინა ჰინგისის დედაცაა, მასწავლებელიც, მწვრთნელიც, გნებავთ დუენიაც. ამ ესპანურ სიტყვას ჩვენი მკითხველი იცნობს – იგი ახალგაზრდა ქალების თანმხლებს ნიშნავს. დუენია თვით ასაკში შესული ქალბატონი გახლავთ, რომელიც ქალიშვილს ზედამხედველობას უწევს. ყველა ამ მოვალეობას მარტინას დედა მელანი შესანიშნავად ასრულებს.

– იგი იმ სულისკვეთებით არის აღზრდილი, რომ გამარჯვება უნდა მოიპოვოს. სულ პატარა იყო, როცა კორტზე მივიყვანე. ბავშვობიდანვე ყველას უგებს, ვისაც კი ხვდება.

როცა მარტინა 14 წლის გახდა, დედამ ნება დართო სკოლა მიეტოვებინა. მართლაცდა, რა სკოლაზე იყო ლაპარაკი, როცა გოგონა წელიწადში 35 კვირას გზაში ატარებდა, მოგზაურობდა პარიზსა და ლონდონში, ნიუ-იორკსა და სიდნეიში. მარტინა ამბობდა: „ეს გაცილებით უფრო საინტერესოა, ვიდრე დღეში 8 საათის განმავლობაში სკოლაში ჯდომა. მართალია, შინ კერძო მასწავლებელი მყავს, მაგრამ როცა ტურნირებში ვმონაწილეობ, ძალზე ძნელია გაკვეთილების სწავლა. იძულებული ხდები თავს ძალა დაატანო, ეს კი ძალიან არ მომწონს. სჯობს წავიდე და სადმე გავერთო, ვიდრე წიგნებს ჩავუჯდე“.

მელანი ქალიშვილს არ აცივდებოდა. ერთადერთი, რასაც თხოვდა, ის იყო, რომ დღეში ორი საათი ევარჯიშა. დანარჩენი დრო, როგორც სურდა, ისე გამოეყენებინა: ცხენით ეჯირითა, თხილამურებით ესრიალა, გნებავთ, ფეხბურთი ეთამაშა, მოდურ მაღაზიებში კაბები შეერჩია. ამაზე მარტინა ამბობდა: „ფული რაღაცაზე ხომ უნდა დავხარჯო“. დედა თვლიდა, რომ მარტინა მართალი იყო: არსად, არც ერთ ჩოგბურთელ ქალს არ მიუღია იმდენი თანხა, რამდენიც მის ქალიშვილს.

მთლად თავის ნებაზე მიშვებული მარტინა მაინც არასოდეს ყოფილა. კერძო, მაგრამ კარგი განათლება მიიღო. გერმანულად ისევე კარგად ლაპარაკობს, როგორც მშობლიურ, ჩეხურ ენაზე, ინგლისურსაც თავისუფლად ფლობს. მელანი თვლის, რომ მარტინა თავისუფლად გაიზარდა. მას არ უგრძნია კომუნისტურ ქვეყანაში ცხოვრება, რომელიც ადამიანს ხასიათს უმკაცრებს. იგი ხომ სულ პატარა იყო, როცა კომუნისტური ჩეხოსლოვაკია დატოვა.

მელანი მოლიტორმა, მეორედ რომ გათხოვდა, გოგონა, რომელიც 5 წლისაც არ იყო, შვეიცარიაში წაიყვანა. ემიგრაციაში წასვლამდე მელანი ურიგოდ როდი თამაშობდა ჩოგბურთს, ჩეხოსლოვაკიაში უძლიერესთა ათეულში შედიოდა, თუმცა მისი შედეგები მარტინასთან რა მოსატანია. მელანი ამბობს: „რა მექნა, მე ხომ ასეთი მწვრთნელი არა მყავდა“.

ყველა დარწმუნებულია, რომ მელანი მართლაც ძალიან კარგი მწვრთნელია. სწორედ, მან გამოაწრთო თავისი შვილი, გამარჯვების ფსიქოლოგია ჩაუნერგა. „როცა ვინმესთან შეხვედრა მოგველის, არასოდეს ვართ შეშფოთებული, ჩვენი თავის იმედი გვაქვს. თუ რაიმე ნაკლი გვაქვს, მის გამოსწორებაზე ვზრუნავთ“. აი, ეს აზრი კი, ცოტა არ იყოს, თავისებურია: „ჩეხებს არასოდეს ჰქონდათ ვინმეს სიძულვილის გრძნობა. ამიტომაც იყო, რომ მათ ხან ვინ იპყრობდა და ხან – ვინ. ამიტომაა, რომ მათ შეუძლიათ ყოველგვარ პირობებს შეეგუონ. მარტინაც ასეთია... ჩეხოსლოვაკიას არასოდეს ჰქონია რაიმე მომავალი. ამიტომაც იყვნენ ჩეხები ესოდენ უდარდელები. შეუძლებელია ასეთ ქვეყანაში ცხოვრება და მსოფლიოს №1 ჩოგბურთელობა. ამიტომაც შემთხვევით არ მომხდარა, რომ ჩეხოსლოვაკია მარტინა ნავრატილოვამაც დატოვა და ივან ლენდლმაც. დასავლეთის პირობებში უნდა იცხოვრო და სტრესები გამოსცადო, რათა ჩემპიონი გახდე“.

ასეა თუ არა, ამაზე კამათი ძნელია. ისე კი, რასაც მელანი ამბობს, მისმა შვილმა პრაქტიკულად ყველაფერი გაამართლა. ქალიშვილს აშკარადა არ სიამოვნებს, რომ დედა ყველგან დაჰყვება და თავზე ადგას. დედა კი ამბობს: „მარტინას არ ესმის, რა მძიმე შრომა უხდებათ ადამიანებს, რათა ცოტაოდენი ფული იშოვონ. ჩვენ ინდონეზიაში ვიყავით, იქიდან რომ ვბრუნდებოდით, ბევრი ვისაუბრეთ ნანახზე და გაგონილზე. ვფიქრობ, ახლა მას სოციალური საკითხები უფრო დააინტერესებს. თუმცა, მეორე მხრივ, იგი ხომ ძალზე ახალგაზრდაა“. აქ უფრო მნიშვნელოვანი კი ის გახლავთ, რომ მარტინა უკვე კარგა ხანია მილიონერია და ცხოვრებას „ვარდისფერი სათვალეებით“ უყურებს. იგი ფავიდანვე ასცდა ქუჩას, რაც მთლიანად დედის დამსახურებაა და როგორც ამბობენ, ჯენიფერ კაპრიატის ხვედრი ნამდვილად არ ემუქრება. ის, რომ, დედის აზრით, მას ბევრი ჭამა უყვარს და სიმსუქნისაკენ მიდრეკილება აქვს, ეს ახლა შედარებით ადვილი გამოსასწორებელია.

მარტინა ჰინგისს თავის საკმაოდ ხანმოკლე საჩოგბურთო გზაზე უამრავი ვარდი შეხვდა. აი, რასაც ეკალს ეტყვიან, ჯერჯერობით არ უნახავს. მართალია შარშან რამდენიმე თვის მანძილზე „რეიტინგ-ლისტში“ ლინდსეი დევენპორტმა გაუსწრო, რაც, როგორც ამბობენ, უფრო მარტინას ერთი ხანმოკლე, მაგრამ უიღბლო სასიყვარულო ისტორიით აიხსნებოდა. როცა ეს იტსორია დამთავრდა, ჰინგისს მაინცდამაინც დიდი ჯაფა არ დასჭირვებია ჯერ დასწეოდა ოლიმპიურ ჩემპიონს, ხოლო შემდეგ კიდევ გაესწრო მისთვის...

**გივი თორელი**

# მარკ როსეს უყვარს ხუმრობა

დამთავრდა დიდი საერთაშორისო ტურნირი „სანკტ-პეტერბურგ ოუპენ-99“. ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ტურნირის მთავარი ფავორიტი, ოლიმპიური ჩემპიონი შვეიცარიელი მარკ როსე და გერმანელი დავიდ პრინოშილი. პრინოშილი ეროვნებით ჩეხია, რომელიც ბავშვობიდანვე გერმანიაში ცხოვრობს.

მატჩი, როგორც მოსალოდნელიც იყო, როსეს გამარჯვებით დასრულდა, და იგი მთავარ პრიზს დაეუფლა. საინტერესოა, რომ წინა წლებში შვეიცარიელმა ზედიზედ ორჯერ გაიმარჯვა მოსკოვის საერთაშორისო ტურნირებში, რომლებიც ზამთრობით იმართება.

როსეს ჩოგბურთელთა წრეებში მხიარული, ხუმრობის მოყვარული ადამიანის სახელი აქვს. როცა მას ჰკითხეს, რითი აიხსნება მისი სისტემატიური გამარჯვებები რუსეთის ტურნირებში, ცნობილმა ოსტატმა ასე უპასუხა:

– უბრალო რამით. დილიდან ორ ჭიქა არაყს ვსვამ, რის შემდეგ უკვე რუსული ყინვის აღარ მეშინია.

# ლინარესის სუპერტურნირზე

შეიძლება ითქვას ლინარესის მეოცე კატეგორიის ასპარეზობა რამდენადმე ჩამოჰგავს იანვარში ვეიკ-ან-ზეეში ჩატარებულ სუპერტურნირს. წინ კვლავ კასპაროვი მიიწევს, მას კი კრამნიკი და ანანდი მისდევენ.

შეჯიბრების პირველი ნახევარი კასპაროვმა მოიგო: მას 7 ტურის შემდეგ შესანიშნავი შედეგი – 5 ქულა ჰქონდა (3 მოგება და 4 ყაიმი). ლიდერს 4-4 ქულით მისდევდნენ ანანდი და კრამნიკი. ამასთან, 8 მონაწილიდან მხოლოდ ეს სამეული რჩებოდა დაუმარცხებელი.

მეორე წრე კასპაროვმა ბრწყინვალედ დაიწყო, მიუხედავად იმისა, რომ ორი პარტია ზედიზედ შავებით ითამაშა. მერვე ტურში მან მოუგო სვიდლერს (რომელთანაც აქამდე თანაბარი ანგარიში ჰქონდა), ხოლო მეცხრეში – ივანჩუკს. ამრიგად, მსოფლიო ჩემპიონმა მეტად განიმტკიცა წამყვანი მდგომარეობა – 9 ტურის შემდეგ 7 ქულა აქვს. მეორე ადგილზე გადაინაცვლა კრამნიკმა. მან ჯერ ტოპალოვთან დაასრულა შეხვედრა ყაიმით, შემდეგ კი სვიდლერი დაამარცხა. ახლა კრამნიკს 5,5 ქულა აქვს. მესამე ადგილზეა ანანდი 5 ქულით. მან ყაიმით დაასრულა შეხვედრა ჯერ ივანჩუკთან, შემდეგ კი ლეკოსთან. 4,5 ქულა მოაგროვა ადამსმა, რომელიც მეოთხე ადგილზეა.

შეჯიბრების დამთავრებამდე 5 ტური რჩება.

## ისტორიიდან

წლის განმავლობაში რამდენიმე სუპერტურნირი ეწყობა, მაგრამ ყველაზე ძლიერ შემადგენლობას მაინც ლინარესი (ესპანეთი) იკრებს ხოლმე. იგი სისტემატიურად იმართება თებერვალ-მარტში და როგორც წესი, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. როცა დიდოსტატი საკუთარ თავს საჭადრაკო ელიტას მიაკუთვნებს, და ლინარესში არ იწვევენ, იგი შეიძლება უკმაყოფილო დარჩეს.

ყველაფერი კი ძალზე მოკრძალებულად დაიწყო. ლინარესის პირველი საერთაშორისო ტურნირი 1978 წელს გაიმართა, სუსტი შემადგენლობა შემოიკრიბა, თითქმის არავითარი ყურადღება არ მიუპყრია და შვედ ოსტატ ელსონის გამარჯვებით დასრულდა. ეს შეჯიბრება ფიდეს ძალიან დაბალ, მეხუთე კატეგორიას მიეკუთვნებოდა.

1979 წელს უკვე მეცხრე კატეგორის ტურნირი მოეწყო. არც აქ იყო მაინცდამაინც ძლიერი შემადგენლობა. ამჯერად ამერიკელმა დიდოსტატმა, საკმაოდ ცნობილმა ლარი კრისტიანსენმა გაიმარჯვა.

1981 წელს მეცამეტე კატეგორიის ტურნირში უკვე მსოფლიო ჩემპიონმა ანატოლი კარპოვმა მიიღო მონაწილეობა, და, როგორც წესი და რიგია, გაიმარჯვა კიდეც.

1983 წელს (მეთოთხმეტე კატეგორია) ლინარესში ბორის სპასკიმ გაიმარჯვა, რომელიც ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირში ცხოვრობდა და კარგად თამაშობდა. ასევე მეთოთხმეტე კატეგორია მიეკუთვნა 1985 წლის ასპარეზობას. ამჯერად პირველ ადგილზე ცნობილი იუგოსლავიელი დიდოსტატი ლიუბომირ ლიუბოევიჩი გამოვიდა.

სამწლიანი პაუზის შემდეგ 1988 წელს მოეწყო ლინარესის რიგით მეექვსე ტურნირი (მეთხუთმეტე კატეგორია). მაშინ ყველაზე უკეთ ცნობილი ჰოლანდიელი დიდოსტატი, მსოფლიო ჩემპიონობის ერთ-ერთი პრეტენდენტი იან ტიმანი თამაშობდა. მას მერე ასპარეზობა ლინარესში, ერთი გამონაკლისის გარდა, უკვე ყოველწლიურად იმართებოდა.

1989 წელს უკვე მეთექვსმეტე კატეგორიის ტურნირში პირველი იყო გამოჩენილი უკრაინელი დიდოსტატი ვასილი ივანჩუკი. ასეთივე კატეგორია შეინარჩუნა 1990 წლის ასპარეზობამ და პირველად გაიმარჯვა მსოფლიო ჩემპიონმა გარი კასპაროვმა. 1991 და 1992 წლებში ტურნირებს მეჩვიდმეტე კატეგორია ჰქონდა. პირველში კვლავ ივანჩუკმა გაიმარჯვა, მეორეში კვლავ გარი კასპაროვმა.

1993 წელს პირველი კვლავ კასპაროვი იყო, ტურნირს კი პირველად მეთვრამეტე კატეგორია მიენიჭა. იგივე მეთვრამეტე კატეგორია ასპარეზობამ 1994 წელს შეინარჩუნა. გაიმარჯვა კარპოვმა. ეს იყო მისი ერთ-ერთი უდიდესი მიღწევა მთელი მისი სატურნირო გამოსვლების მანძილზე. 1995 წელს კატეგორიამ ერთი საფეხურით დაიწია. მასში უკვე მესამედ, ივანჩუკმა მოიპოვა პირველი პრიზი. 1997 წელს უკვე მეცხრამეტე კატეგორიის პაექრობაში პირველი ადგილი მეოთხედ კასპაროვს დარჩა.

და ბოლოს, განსაკუთრებული მოვლენა იყო ლინარესის შარშანდელი ტურნირი, რომელიც ორ წრედ მოეწყო. 21-ე კატეგორიის ასპარეზობაზე 7 დიდოსტატი ებრძოდა ერთმანეთს. 7,5 ქულით პირველ ადგილზე გავიდა ანანდი, მეორეზე 7 ქულით – შიროვი. 6,5-6,5 ქულა მოაგროვეს კასპაროვმა და კრამნიკმა. 5,5 ქულა – სვიდლერმა, 5 – ივანჩუკმა, 4 ქულით ბოლო ადგილი ტოპალოვმა დაიკავა.




## შერეული კროსვორდი










**თარაზულად:** 1. ცნობილი ამერიკელი ჰოკეისტი, 3. მოჭადრაკე – დიდოსტატი *(ფოტო)*, 4. ფეხბურთელი, საფრანგეთის ნაკრების წევრი, 7. წარსულში ცნობილი პოლონელი მოფარიკავე, 8. პარტია ჩოგბურთში, 12. საჭიდაო ინვენტარი, 15. სამთო კურორტი საქართველოში, 16. წარსულში ცნობილი ქართველი კალათბურთელი, 17. ნიგერიის ფეხბურთელთა ნაკრების წევრი, 19. საზღვარგარეთული საფეხბურთო კლუბი. 20. მთიანეთი აღმოსავლეთ ციმბირში, 22. ტუნისის საფეხბურთო ნაკრების მეკარე, 26. საქმის დაჩქარებით კეთება, 27. ფეხბურთელი, რუმინეთის ნაკრების წევრი *(ფოტო)*, 28. ფეხბურთელი, ნორვეგიის ნაკრების წევრი, 29. ფეხბურთელი, პარაგვაის ნაკრების წევრი.

**შვეულად.** 1. ვალისთვის ჩაბარებული ნივთი. 2. ამერიკელების მეტსახელი. 3. ფრანგი ფეხბურთელის ანრის სახელი, 5. კორეელი ფეხბურთელი, ნაკრების წევრი, 6. ვეტერანი ბრაზილიელი ფეხბურთელი, 8. ვეტერანი ქართველი ფეხბურთელი – მეკარე, 9. სამხრეთ აფრიკელი ფეხბურთელი – ნაკრების წევრი, 10. ცნობილი ქართველი მოჭადრაკე ქალი, 11. ხორვატიის საფეხბურთო კლუბი, 13. კლუბის საფირმო ნიშანი, 14. ფეხბურთელი – ბულგარეთის ნაკრების წევრი *(ფოტო)*, 18. კვიპროსის საფეხბურთო კლუბი, 21. მატჩებს შორის შესვენება, 23. ჩილელი ფეხბურთელი – ნაკრების წევრი, 24. 1998 წლის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატში მონაწილე ქვეყანა. 25. კამერუნელი ფეხბურთელი – ეროვნული ნაკრების წევრი.

გაზეთ „ლელოს“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება პოლიგრაფიის ღვაწლმოსილი მუშაკის, გამომცემლობა „სამშობლოს“ დამკაბადონებლის

**სპირიდონ ციციშვილის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

## საჭადრაკო ამოცანა

ო. მამულაშვილი
(სოფ. კარდენახი)




**შამათი 3 სვლაში**

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:

1. ლg3!
1. ...მფb4 2. ლa3X.
1. ...მფd4 2. ლe3X.
1. ...dc (d4) 2. ლd6X.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული საფეხბურთო კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 5. ბლანკო, 6. ვალე, 7. კანი, 10. ტეხასი, 11. ტანი, 12. ირანი, 13. მერი, 14. ჯო, 16. გალკა, 20. ჩუი, 21. ჰოლი, 22. რუისი, 23. ვილა.

**შვეულად:** 1. მარშალი, 2. როკი, 3. ხონი, 4. დერბი, 8. ჰერცოგი, 9. საველიჩი, 15. ბეკი, 17. კალა, 18. ხარბი, 19. პირი.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს“ საგამომცემლო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე